პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 158 (11464)
პარასკევი
10
ივლისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა თვითმფრინავების ზეშორი ძირდაუშვებელი გადაფრენა

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამას წინათ მოეწყო სერიული სამხედრო თვითმფრინავების ფრენა ძირდაუშვებლად და ისე, რომ ჰაერში დამატებით არ ჩაუსხამთ საწვავი. მარშრუტის საერთო სიგრძე იყო 16.950 კილომეტრი. ფრენის საერთო ხანგრძლივობამ შეადგინა 21 საათი და 02 წუთი. მეორე ასეთივე თვითმფრინავმა სხვა მარშრუტით და სხვა სიმაღლეზე აგრეთვე ძირდაუშვებლად და ჰაერში სათბობის დამატებით ჩაუსხმელად გაიფრინა 17.150 კილომეტრი 21 საათსა და 15 წუთში.

დაშვების შემდეგ თვითეული მანქანის საბრძოლო ავზებში რჩებოდა საწვავი, საკმარისი ერთ საათზე მეტ ხანს ფრენისათვის.

როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს საბჭოთა კავშირის ავტორიტეტულ სამხედრო წრეებში, ეს გადაფრენა ბევრად აღემატება სიშორითა და ხანგრძლივობით უცხოეთის თვითმფრინავების ანალოგიურ ფრენას.

ადამიანები და ტექნიკა

ადამიანები და ტექნიკა! რაოდენ ღრმაშინაარსიანია ეს სიტყვები! ისინი მოიცავს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანს. ამიტომ არის, რომ ადამიანებსა და ტექნიკას მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ. ამჟამად, როცა დადგა ტექნიკური პროგრესისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის ხანა, ჩვენი გმირი მუშათა კლასი, საბჭოთა გლეხობა ყველაფერს აკეთებენ შრომისნაყოფიერების სულ უფრო და უფრო გადიდებისათვის, რომელიც საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარია.

და აი ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ აღჭურვა სოფლის მეურნეობა თანამედროვე მანქანებითა და მექანიზმებით. კოლმეურნეობებს გადაეცათ სამამულო ტექნიკა, რამაც დიდი გარდატეხა მოახდინა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებაში. ამ ღონისძიების განხორციელებიდან განვლილ ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვან სოფლის მეურნეობაში გარკვეული წარმატებებია მიღწეული. თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული კოლმეურნეობები სასახელოდ იბრძვიან შვიდწლედის პირველი წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მთელ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ისტორიული პლენუმის გადაწყვეტილებებმა. ამ გადაწყვეტილებებსა და პლენუმზე წარმოთქმულ ნ. ს. ხრუშჩოვის სტატიას გულდასმით ეცნობიან ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები და სახავენ კონკრეტულ გზებს მათი განუხრელად განხორციელებისათვის. საკოლმეურნეო სოფელში მძლავრად გაისმის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწოდების სიტყვები:

— **უფრო ფართოდ გაშალეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის!**

ახლა, როცა მთელი ფრონტით გაჩაღებულია ლაშქრობა **140.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის, თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის ათ სამუშაო დღეში უდანაკარგოდ აღებისათვის, ხეხილის ბაღების, ვენახების, ნათესების** მოვლა-დამუშავებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექნიკის სრული დატვირთვით, მონიტორულად გამოყენებას. მაგრამ ვინ აკეთებს, ორგანიზებს ამ დიდ საქმეს? ცხადია, ადამიანები. ამიტომ იქ, სადაც კოლმეურნეობათა გამგეობები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სრული პასუხისმგებლობის გრძნობით არიან გამსჭვალულნი, ტექნიკა ყოველთვის მოვლილი და სამუშაო მდგომარეობაშია.

მოწინავე მექანიზატორების მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტექნიკას შეიძლება გამოსწურო იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც მას შეუძლია, ამუშაო შუერხებლად და მიაღწიო დიდ წარმატებას. ამას კარგად ითვალისწინებს ცნობილი წითელწყაროელი მექანიზატორი გიორგი დოლიძე, რომელიც პურეულის მოსავლის ათ სამუშაო დღეში უდანაკარგოდ აღების ინიციატორად გამოვიდა. მისი გამარჯვების საწინდარი ის არის, რომ კომბაინი კარგი საათის მექანიზმივით აქვს აწყობილი. ასეთი მანქანა ადამიანს არ უმტყუნებს.

სწორედ ამიტომ აღწევენ წარმატებებს მოსავლის აღებაში სიღნაღის რაიონში — მიხეილ ლაზარაშვილი, ვლადიმერ შანშაშვილი, გიორგი ხელაშვილი, წითელწყაროს რაიონში — მიხეილ დიდებაშვილი, ადამ წიკლაური და მრავალი სხვა. თვითეული მათგანი დღეში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 18-20 ჰექტარს იღებს და საშუალოდ ჰექტარზე 20-24 ცენტნერ მარცვალს ლეწავს.

ჩვენი სახელოვანი მექანიზატორები ამ წარმატებებს აღწევენ ტექნიკის დაუფლებით, ტექნიკის შენახვისა და მოვლის, შეკეთების უზრუნველყოფით; ამ მხრივ მისაბაძ მაგალითებს იძლევიან წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის, სოფლების ჯაფარიძის, არბოშიკის, ზემო ქედის და სხვა კოლმეურნეობათა მექანიზატორები. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყველგან ასეთი მდგომარეობაა.

ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები მოწმობენ, რომ მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში კომბაინების, ტრაქტორების, მისაბმელი იარაღ-მანქანების მოვლა-პატრონობას, სრული წარმადობით გამოყენებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, ქარელის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინები, სათესები, კულტივატორები გაუწმენდავი და შეუზეთავია. „სკ-3“ მარკის კომბაინი, რომლის შეძენაზე კოლმეურნეობამ დიდი ხარჯები გასწია, მოუვლელობის შედეგად დაიჟანგა და მწყობრიდან გამოვიდა. შენახვის დროს კომბაინიდან არ ხსნიან საბურავებს, რეზინის ღვედებს, სანთლებს და სხვა ნაწილებს. მსგავსი მდგომარეობაა სოფლების არადეთის და დირბის კოლმეურნეობებში.

კულტივატორები და სხვა იარაღ-მანქანები მოუვლელი და გაუწმენდავი ყრია მინდვრად ცხაკაიას რაიონის ნოსირის ლენინის სახელობის, თეკლათის ჭავჭავაძის სახელობის, მენჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში. არის შემთხვევები, როცა ტექნიკას არადანიშნულებისამებრ იყენებენ. გალის რაიონის სოფელ ბედიის კოლმეურნეობა „საქართველოში“ საგაზაფხულო ხვნა-თესვის პერიოდში „დტ-14“ მარკის ტრაქტორი გამოიყენეს სტაციონარულ სამუშაოზე ელექტროენერგიის მისაღებად. თელავის რაიონის ყარაჯალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში „დტ-54“ მარკის ტრაქტორს ცუდი ექსპლოატაციის გამო ნაადრევად შეუცვალეს ძრავის ნაწილები.

ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობებში იარაღ-მანქანების შესანახი ფარდულების მოწყობას. ამის გამო ტრაქტორისტები თავიანთ ეზოებში ინახავენ ტრაქტორებს. ეს მათ საშუალებას აძლევს ტექნიკა გამოიყენონ არადანიშნულებისამებრ. ასეთი შემთხვევებია მცხეთის, აბაშის, საჩხერის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ზოგან ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს არ იცავენ. ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონის კოლმეურნეობაში საწვავ მასალას ცეცხლი გაუჩნდა, უმეთვალყურეოდ დატოვებული „დტ-24“ მარკის ტრაქტორი ცეცხლისაგან დაზიანდა.

უყურადღებობის გამო მანქანები იჟანგება, მალე გამოდის მწყობრიდან ბორჯომის რაიონის წინუბნის, გვერდისუბნის, ასპინძის რაიონის სოფელ ძველის კოლმეურნეობებში. მსგავსი ნაკლოვანებები გამოვლინებულია საგარეჯოს, ხაშურის, გურჯაანის რაიონებში.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კონკრეტული ღონისძიებები უნდა განახორციელონ. კოლმეურნეობებში არსებული ძვირფასი ტექნიკა სრული წარმადობით უნდა გამოვიყენოთ, გადაჭრით ავამაღლოთ მექანიზაციის დონე სოფლის მეურნეობის ყველა უბანზე, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ძირითადი პირობაა.

თავისუფლება მანოღის გლეზოსს!

★ ★ ★ ★

მის უდიდებულესობას პაპლე I,

ელინთა მეფეს

ათენი

თქვენო უდიდებულესობავ,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მისამართით და პირადად ჩემი მისამართით მოდის მრავალი მიმართვა საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან, კულტურის მოღვაწეთაგან, მეცნიერთაგან, საბჭოთა კავშირისა და უცხო ქვეყნების ცალკეულ მოქალაქეთაგან თხოვნით ხელი შევუწყო იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რომელიც მოეკლინა მანოლის გლეზოსის სიცოცხლესა და თავისუფლებას.

საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი დიდ შეშფოთებას იჩენს ბერძენი პროგრესული საზოგადო მოღვაწის, საბერძნეთის ეროვნული გმირის მანოლის გლეზოსის ბედისათვის, რომლის სიცოცხლესა და თავისუფლებას საფრთხე ემუქრება.

მანოლის გლეზოსს კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებიც ბერძენ ხალხთან დაკავშირებული არიან ერთობლივად დაღვრილი სისხლით ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მანოლის გლეზოსმა თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეიტანა თავისი სახელოვანი წვლილი და მისი გმირობა კარგად ცნობილია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.

ვხელმძღვანელობ რა ჰუმანურობის მოსაზრებით, მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, თქვენო უდიდებულესობავ, გაცნობოთ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობის აზრი და ჩემი მხრივ გთხოვთ მიიღოთ ღონისძიებანი მანოლის გლეზოსის განთავისუფლების მიზნით.

გულწრფელი პატივისცემით

კ. ვოროშილოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1959 წლის 9 ივლისი.

თბილისის მშრომელთა ხმა

საქართველოს მშრომელებმა უდიდესი გულისწყრომით გაიგეს, რომ სასტიკად დაჯაჭა უბრალებენ საბერძნეთის ეროვნულ გმირს, მშვიდობის საქმისათვის საბრძოლოს, მგზნებარე პატრიოტს მანოლის გლეზოსს. 9 ივლისს ათასობით თბილისელი შეიკრიბა ქიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე საერთო საქალაქო მიტინგზე, რათა გამოეთქვა თავისი მრისხანე პროტესტი ბერძენი ხალხის ეროვნული შვილის მამრთ უმაგალითო თვითნებობის წინააღმდეგ.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გ. ვაშაკიძემ.**

სიტყვა ეძლევა ატალინის სახელობის ორთქმავალ-ვაგონწმენდელებელი ქარხნის ზეინკალს **პ. ბედნიშვილს.** სიგანგაშო ცნობამ, ამბობს იგი, ალიარა ყველა ქეთილი ნების ადამიანი. სახელგანთქმულ ბერძენ პატრიოტს, რომელმაც თავისი სიცოცხლის თითქმის 20 წელი შესწირა შშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას, ფაშისტური დროთა ქანონის თანახმად ბრალად ედება ჯაშუშობა. ჩვენი საწარმოს კოლექტივი აღმფოთებულია უკანონობის ამ სამნელი აქტით და მთელი სიმტკიცით ერთსულოვნად მოითხოვს საბერძნეთის მთავრობისაგან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს საშინელი ინსცენირება, ჯალათის სისხლიანი ხელი მოაშოროს ეროზოსს.

ტრიბუნაზეა დიდი სამამულო ომის პარტიზანი, საბჭოთა კავშირის გმირი **დ. ბაკრაძე.** მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა სახელით, რომლებიც იბრძოდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მან განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან მამაცი ანტიფაშისტი. მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მეფადარი მებრძოლი მანოლის გლეზოსი. ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების დაცვისათვის გლეზოსი უნდა ვიხსნასო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **ა. ბოჭორიშვილმა** განაცხადა, რომ ქართველი მეცნიერები მთელ ქართველ ხალხთან ერთად აიმაღლებენ ხმას მანოლის გლეზოსის დასაცავად. მეორე მსოფლიო ომის დროს მისი გმირული მამაცობით, საბერძნეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უდრეკი ბრძოლით აღტაცებული იყვნენ ყველა ქვეყნის ხალხები. პროგრესული კაცობრიობა აღშფოთებულია იმით, რომ უძველესი კულტურის ქვეყანაში მეფობს ასეთი თვითნებობა და ძალადობა. ჩვენ მოვითხოვთ მანოლის გლეზოსის — ბერძენი ხალხის სიამაყის განთავისუფლებას.

ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა პოეტმა-აკადემიკოსმა **გ. ლეონიძემ.** მან ილაპარაკა შრომისმოყვარე და ნიჭიერ ბერძენ ხალხზე. მანოლის გლეზოსის სიცოცხლის დაცვა ნიშნავს დავიცვათ ძვირფასი წვლილი, რომელიც ბერძენ ხალხს შეუტანია მსოფლიო კულტურაში და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. გლეზოსსა უნდა იცოცხლოს!

— მანოლის გლეზოსის გმირული ბრძოლით თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის, — თქვა ბოლოს „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორმა **პ. ასლანიდმ,** — სამართლიანად ამაყობენ არა მარტო ბერძენები, არამედ ყველა ქეთილი ნების ადამიანი. ისინი მტკიცე პროტესტს იცხადებენ სამხედრო სასამართლოს წინააღმდეგ, რომელიც მოქმედებს უცხოელ მფარველთა ინტერესებისათვის და საბერძნეთის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ.

მუშა ახალგაზრდობის 21-ე სკოლის დირექტორმა **ს. არუთინიანმა** აღნიშნა, რომ შეეთითხნილი ნაყალბევი გლეზოსის წინააღმდეგ შეთქმულებაა საბერძნეთის მთელი დემოკრატიული საზოგადოებრიობის წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანები აღშფოთებული არიან რეაქციის ბოროტებით, რომელმაც სისხლიანი ხელი აღმართა მანოლის გლეზოსის წინააღმდეგ, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მშობლიური ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

საქართველოს ახალგაზრდობის სახელით გამოვიდნენ სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ჯუმბერ თოთმერია და 102-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ლარისა გალიუტა. მათ განაცხადეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქშვილები და ჰაბოტკები გამოთქვამენ რწმენას, რომ აღკვეთილ იქნება შავნელი ბოროტმქმედება. მანოლის გლეზოსი განთავისუფლებულ იქნება ჯალათთა ხელიდან.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გაეგზავნება საბერძნეთის მეფეს, საბერძნეთის მთავრობასა და სამხედრო სასამართლოს ათენში და საბერძნეთის საელჩოს მოსკოვში. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ თბილისის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საქართველოს მშრომელები მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღიკვეთოს დანაშაული მშვიდობის საქმისა და საერთო საკაცობრიო პროგრესის წინააღმდეგ, მიეცეს თავისუფლება მანოლის გლეზოსს. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია უნგრეთში გაემგზავრა

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 9 ივლისს უნგრეთში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკათა პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის ამხ. ვ. ე. სემიჩასტნის მეთაურობით. დელეგაცია გაიცნობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

ვნუკოვის აეროდრომზე დელეგაციას გააცილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ივანოშ ბოლდოცკიმ.

ბროშურა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალები“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალები“. ბროშურაში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1959 წლის 29 ივნისის დადგენილება „პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებითაც გათვალისწინებულია ტექნიკური პროგრესის დაჩქარება მრეწველობასა და მშენებლობაში“.

ბროშურაში დაბეჭდილია აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიმართვა საბჭოთა კავშირის მუშებისადმი, კოლმეურნეებისადმი, საბჭოთა ინტელიგენციისადმი, ყველა მშრომელისადმი, „ცვირალური შრომით ავაგოთ კომუნიზმის დიდებული შენობა!“.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲣᲠᲘ

ᲮᲕᲐᲕᲡ ᲮᲕᲐᲕᲘ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲒᲣᲚᲡ—ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ალაზნის მარჯვენა მხარეს, „ხაშალთეფას“ რომ ეძახიან, ტიბაანის კოლმეურნეობას საველე სამრობები და ალეღები გაუმართავს. აქ გროდება მინდვრის ხვავი და ბარაქა. დღეღამის განმავლობაში მუშაობა არ წყდება. ხორბალს ასუფთავებენ, ახარისებენ და საწყობებში გზავნიან. ვ. ტატაშვილი თითო მანქანით დღეში 50 ტონა ხორბალს ამუშავებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ბერეგაძე მინდვრიდან დაბრუნდა. შუაღლე ოფლის ნაკადული მოიწმინდა და ხორბლის მკეთებელთ შეეხმიანა:

—მუშაობა უნდა გავაძლიეროთ, ხომ ხედავთ, ხვავს ხვავი ემატება. თუ არ ავჩქარდით, შეიძლება წვიმა მოვიდეს და დაეხარალდებით.

თავმჯდომარემ მოსავლის აღების მიმდინარეობაზე სასიხარულო ცნობები გადმოგვცა. ტიბაანელებმა ქერის მკა დაამთავრეს თუ არა, ხორბლის მოსავლის აღება დაიწყეს. 1.400 ჰექტარიდან უკვე მომკილია ნახევარზე მეტი, თვითეულ ჰექტარზე 13,5 ცენტნერი ხორბალი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად 22 ცენტნერზე ნაკლები არ არის.

წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა მიმართვის პასუხად ტიბაანელებმა დადიდებული ალეღებულები იკისრეს და მათი შესრულების მიმდინარეობა შეამოწმეს. შედეგები კარგია. პირველობაში ვერაკინ შეეცილა ვლადიმერ შანშიაშვილს. ომაშვილეცხლილი ვაჟკაცი მეოცე მოსავალს იმკის, მისი აგრეგატი წელს უწინდელზე უკეთ, შვიდწლედის შესაფერისად მუშაობს. უკვე ორასი ჰექტარი მოკა, ავტომანქანებში ბუნკერიდან გადმოტვირთული 4.409 ცენტნერზე მეტი ხორბალი წაიღო კალოებზე.

არც ერთი აგრეგატი არ არის იაეთი, რომ მკის ყოველდღიურ დავალებას გადამეტებით არ ასრულებდეს. მინდვრის ხომალდების მეთაურები გიორგი ქადაგიძე, გარსეგან მენთეშაშვილი, ნიკოლოზ ღვინიაშვილი, შაქრო მეკედლიშვილი ყოველდღიურად გეგმის ზევით ბუთ-იქეს ჰექტარს მკიან. მოსავლის აღებას 16 ავტომანქანა ემსახურება. ლ. ხუციშვილი, გ. ბეკანიშვილი, შ. კაკალაშვილი და სხვა მძღოლები მინდვრებში ავტომანქანებს სწრაფად დააქროლებენ.

მოსავლის აღების ფრონტმა ალაზნის ველადან შირაქში გადაინაცვლა. ტიბაანელები იქაც მამაცობენ, უხვ მოსავალს სწრაფად იღებენ.

* * *

წინორი-ლაგოდეხის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს მყუდროებაა. შეწყდა მანქანების გუგუნი, კალოებზეც აღარ ისმის შრომის ჟრიამული. წნორის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მკეთ-მხვნელ-მთესველნი შირაქში გადაბარგდნენ.

ამაღლებულ ადგილას წნორელებს საველე სადგომი მოეწყვიათ. მაგრამ იშვიათად რომ იქ თავი ვინმემ შეაფაროს. სადა სცალიათ. მინდერად დადიან ალოობაა. ბინის მკვიდრნი ორადორი ქალია, ისინი მსუყე და გემრიელ ქერძებს უმზადებენ მინდვრად მოლაშქრეებს. მკაში წინ მიდის კომბაინერი ვლადიმერ გურაშვილი. ათ სამუშაო დღეში 209 ჰექტარი მომკა და 3.900 ცენტნერი ხორბალი გალეწა. გურაშვილის აგრეგატზე კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის გარდამავალი წითელი დროშა ფრიალებს.

სიღნაღის რაიონში ყველგან მკის ალოა. კომბაინის 122 აგრეგატი მუშაობს და თითქმის არ არის შემთხვევა, რომ რომელიმე შეფერხდეს. ჯუგაანში თუ ვაქირში, ბოდბეში თუ მაღაროში, ყველგან მოსავლის აღებაა გაჩაღებული. უხვ მოსავალს უდანაკარგოდ აბინავებენ.

ხვავს ხვავი ემატება, გულს — სიხარული.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ—27 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ

თელავის რაიონის საკოლმეურნეო ველების უწინდელი მყუდროება მინდვრის ხომალდებს დაურღვევიათ, სწრაფად და უდანაკარგოდ იღებენ პურეულის მოსავალს.

სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის მექანიზატორი ი. მესტვირიშვილი ყოველდღიურად 17-20 ჰექტარს მკის და საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერ ხორბალს ლეწავს. ამხ. მესტვირიშვილი იმისათვის იბრძვის, რომ ათ სამუშაო დღეში ხორბლის მოსავალი აიღოს 200 ჰექტარზე.

ჰექტარზე 27 ცენტნერი ხორბალი — ასეთი ხვავი მოიტანა შვიდწლედის პირველმა წელმა სოფელ გულგულის კოლმეურნეობის ჯაშოთა გამოცდის ნაკვეთებში. კომბაინერი ალექსი წულუკიძე ერთი შემოვლით ავსებს ბუნკერს. ავტომანქანები ძლივს ასწრებენ კომბაინის ბუნკერიდან მარცვლის დაცლას და დანიშნულებისამებრ წაღებას.

მკა ორგანიზებულად მიმდინარეობს სოფელ აკურის კოლმეურნეობაშიც. კომბაინერი ნ. კუპატაძე ყოველდღიურად მკის 18-20 ჰექტარ პურეულს და ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით 7 ცენტნერით მეტ მარცვალს ლეწავს.

დაძაბული შრომის დღეებია გურჯაანის რაიონში. მკაში წარმატებათა მოსაპოვებლად ერთმანეთს ეცილებიან სოფელ ზიარის კოლმეურნეობაში ა. სოლოღაშვილი, არაშენდის კოლმეურნეობაში გ. მედულაშვილი, სოფელ მახარაძის კოლმეურნეობაში ს. არუთინაშვილი. თვითეული მათგანი დღეში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალს იღებს 17-20 ჰექტარზე ნაცვლად 10 ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე ლეწავს 18-20 ცენტნერ მარცვალს.

შ. დესიშვილი.



სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის მშრომელები შეუდგნენ ხორბლის ორ ფაზად გაყოფითი წესით აღებას. წითელწყაროელ მექანიზატორთა მოწოდების საპასუხოდ კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს პურეულის მოსავალი 1.200 ჰექტარზე აიღონ აგროტექნიკურ ვადაში და უდანაკარგოდ. სურათზე: ხორბლის ორ ფაზად გაყოფითი წესით აღება სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში. წინა პლანზეა კოლმეურნეობის აგრონომი ლ. გვედაშვილი და თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგიაშვილი.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲕᲘᲨᲜᲘ ᲕᲝᲚᲝᲩᲔᲙᲘᲡ ᲑᲐᲛᲑᲔᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲐᲕᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ვ. Ი. ᲒᲐᲒᲐᲜᲝᲕᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საბჭოთა საზოგადოების ინტერესებისადმი ერთგული სამსახურის თავადადებული პირადი მაგალითისათვის, რაც იმით გამოიხატა, რომ ნებაყოფლობით გადავიდა მოწინავე ბრიგადიდან, სადაც შრომის უფრო მაღალი ანაზღაურება იყო, ჩამორჩენილ ბრიგადაში და აიყვანა იგი მოწინავის დონემდე, თვალსაჩინო თაოსნობისათვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის დიადი მოძრაობის შემდგომ გასაადიდებლად — ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის ბრიგადირს ამხ. ვალენტინა ივანეს ასულ **გაგანოვას** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი, 1959 წლის 8 ივლისი.

ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ — ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲘᲡ რაიონმა 100,6 პროცენტით შეასრულა პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. დამზადებულია 214 ტონა პარკი გეგმით გათვალისწინებული 212 ტონის ნაცვლად.

პარკის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ რაიონის მეაბრეშუმეებმა 8 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა — სახელმწიფოს მიჰყიდეს 90 ათასი კილოგრამი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 89 ათასი კილოგრამისა.

მთელი ძალები — სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად!

მხოლოდ ინდუსტრიული მეთოდებით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც თავის მუშაობაში პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობდა, პასუხსაგები ამოცანები დაუსახა მშენებლებს, ამასთან მიუთითა ამ ამოცანების წარმატებით შესრულების კონკრეტულ გზებზე.

მშენებლობის დაჩქარების, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვას. ამ მხრივ გარკვეული წარმატებები აქვს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის კოლექტივს. 1954 წელს ტრესტის საწარმოებმა დაამზადეს 11.482 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონი და მილიონი მანეთის შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოზე გამოყენებული იყო 34 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონი. 1958 წელს დავამზადეთ 42.560 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონი და მილიონი მანეთის შესრულებულ სამუშაოზე გამოვიყენეთ 225 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონი.

რკინაბეტონის წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვამ, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებამ საშუალება მოგვცა არა მარტო გაგვიდიდებინა ასაწყობი რკინაბეტონის გამოშვება, არამედ გაგვეუმჯობესებინა მისი ხარისხიც. მცირეგაბარიტიანი, მოძველებული კონსტრუქციების ნაცვლად ახლა ტრესტის საწარმოები უშვებენ მსხვილგაბარიტან და მრავალსაცარიელიან საქარხნო წესით მოპირკეთებულ კონსტრუქციებს, დეტალებს და საკედლე ბლოკებს. წელს მწყობრში ჩადგა წინასწარ დაძაბული ასაწყობი რკინაბეტონის დასამზადებელი მექანიზებული პოლიგონი. ხისდასამუშავებელ კომბინატში ათვისებულია ფიბროლიტის ფილების წარმოება.

სამშენებლო მოედნებზე საკედლე მასალად ფართოდ იყენებენ წრდაბეტონის მრავალსაცარიელიან ორმხრივ მოპირკეთებულ მსხვილ ბლოკებს, მაგრამ ძირითადი საკედლე მასალა მაინც აგურია. ამასთან ცნობილია, რომ ცალობრივი აგურით კედლების ამოყვანა არ იძლევა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის საშუალებას. მოსკოვის მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციების მდიდარი გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ტრესტის კოლექტივმა წარმატებით გადაჭრა მშენებლობაზე აგურის ინდუსტრიული გამოყენების პრობლემა.

დამხმარე საწარმოებში დავამზადეთ და მშენებლობაზე გამოვიყენეთ 5.092 კუბმეტრი აგურის მსხვილი ბლოკი. მშენებლები მოკლე დროში დარწმუნდნენ აგურის მსხვილი ბლოკების დიდ უპირატესობაში ცალობრივი აგურის წყობასთან შედარებით.

აგურის მსხვილი ბლოკების გამოყენება აიაფებს და აჩქარებს მშენებლობას, ამსუბუქებს მშენებელთა შრომას და ათავისუფლებს მუშახელს. შემდეგ აგურის მსხვილი ბლოკების დამზადება დაიწყო როგორც სპეციალურად მოწყობილ პოლიგონზე რუსთავში, ისე ქნისა და ღრმაღელის ქარხნებში. 1959 წლისათვის ბიათმშენებლობაში გამოყენებულია 47.200 კუბმეტრი აგურის მსხვილი ბლოკი. აგურის მსხვილი ბლოკის დამზადების ზრდასთან ერთად მშენებლებმა მრავალი ტექნიკური გაუმჯობესება შეიტანეს ამ საქმეში.

წელს აგურის მსხვილი ბლოკები გამოვიყენეთ საწარმოო ნაგებობათა მშენებლობაზეც. ეს ბლოკები გაცილებით ჯიდი ზომის არის. სამშენებლო მოედნებზე ბლოკების მიზიდვა ხდება სატვირთო მანქანებით, აგრეთვე ტრესტის საწარმოებში დამზადებული სპეციალური ავტომისაბმელებით.

მსხვილი ბლოკები რკინიგზის ვაგონებით ტრანსპორტირებასაც კარგად იტანს. ცალობრივი აგურის რკინიგზის ვაგონებზე და ავტომანქანებზე დატვირთვა-გადმოტვირთვა გაცილებით შრომატევადია, ვიდრე მსხვილი ბლოკებისა, მინიმუმამდე დაყვანილია აგურის დანაკარგი. ამიტომ არის, რომ მსხვილი ბლოკებით მშენებლობაზე ვერ ნახავთ აგურის ნამტვრევების გორებს, რაც თან ახლავს ცალობრივი აგურის წყობას, ამასთან დამტვრეულ აგურებს ეფექტიანად იყენებენ ადგილობრივ მსხვილი ბლოკების წყობის დროს აგურის ქარხნებში, პოლიგონებზე, რაც აგრეთვე დიდ ეკონომიას იძლევა.

წელს რუსთავში, აგურის მსხვილი ბლოკების პოლიგონზე, საექსპლოატაციოდ გადაეცა ნახევრად ავტომატური დანადგარი, რომელიც შექმნილია შახტმშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ნახაზების მიხედვით. ეს დანადგარი 10-12 პროცენტით ამცირებს ბლოკების დამზადების შრომატევადობას, ამაღლებს მათს ხარისხს. ამ დანადგარზე მალე დაიწყება რხევითი ტვიფრის გამოყენება, რომელიც საშუალებას მოგვცემს ბლოკების წყობა 15-20 მარკის ხსნარზე ვაწარმოოთ. ამის შედეგად დიდი რაოდენობით დაიზოგება ცემენტი და გაუმჯობესდება ბლოკების ხარისხი.

მშენებლობაში რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და მსხვილი ბლოკების ფართოდ გამოყენებამ მკვეთრად დააჩქარა მშენებლობის ტემპი და შეამცირა მისი თვითღირებულება. მაგალითად, თუ 1955 წელს ორ და სამსართულიანი სახლების მშენებლობას ერთ წელს ვანდომებდით, ახლა ასეთ სახლებს 4-5 თვეში ვაგებთ. მშენებლობის ვადაზე ერთი თვით ადრე დამთავრება კი დაახლოებით 1,3 პროცენტით ამცირებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულებას.

მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვამ მოითხოვა შრომის ორგანიზაციის ახალი რაციონალური ფორმები. მსხვილი ბლოკებით და დეტალებით შენობების მონტაჟის დროს მინიმუმამდე იქნა დაყვანილი მასალის ხარავა ხარაჩოების მოწყობისათვის და დამხმარე მუშახელის საჭიროება. ახლა ორ-სამსართულიანი სახლის მონტაჟზე 6-7 კაცი მუშაობს, მაშინ როცა ცალობრივი აგურით წყობის დროს 30-40 კაცი მუშაობდა. ზუსტად არის განსაზღვრული თვითეული მუშის ფუნქცია. ბრიგადებში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფესიის მშენებლები. ბევრი რამდენიმე პროფესიას ფლობს.

ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მშენებლობის თვითღირებულების შემცირების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კომპლექსურმა ბრიგადებმა. მშენებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ა. ზოდელავა ხელმძღვანელობს, აგრეთვე გ. მამალაძის, ვ. ტევანიანის, ი. აზიმოვის კომპლექსური ბრიგადები გამომუშავების ნორმებს 170-190 პროცენტით ასრულებენ.

მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში ბევრი ნაკლიც არის. მაღალია დეფიციტური საშენი მასალების ხარჯვის დონე, მოწყობილი არ არის ბევრი ახალი ეფექტური საშენი მასალის წარმოება, მაღალია საცხოვრებელი სახლების მშენებლობის თვითღირებულება, ჯერ კიდევ დიდია მშენებლობის დაჩქარებისა და გაიაფების რეზერვები, რომლებსაც მშენებლები ვერ იყენებენ.

ეს რეზერვები არსებობს აგურის მსხვილი ბლოკების წარმოებასა და მშენებლობაში მათი გამოყენების საქმეშიც. ბლოკების წარმოება მთლიანად მექანიზებულ და ავტომატიზებული უნდა იქნას, ამასთან უნდა განხორციელდეს მათი დამზადების სპეციალიზაცია.

აგურის მსხვილი ბლოკის უარყოფითი ნიშანია სიმძიმე, რაც ართულებს მისი დამზადებისა და გამოყენების საქმეს. საჭიროა დამუშავდეს აგურის ბლოკის გამსუბუქების საკითხი მასში სიცარიელეთა მოწყობის და ამ სიცარიელეთა უფრო მსუბუქი მასალებით ამოვსების გზით.

ეს საშუალებას იძლევა გადიდდეს ბლოკების ზომები. ფასადის შელესვის თავიდან აცილებისათვის საჭიროა დამზადდეს სპეციალური მოსაპირკეთებელი ფერადი აგური, რომელიც მეტ ლაზათს მისცემს შენობას.

აგურის მსხვილმა ბლოკებმა მოქალაქეობის უფლება მოიპოვა მშენებლობაში. მოსკოვის, კიევის, ლენინგრადისა და სხვა ინდუსტრიული ცენტრების მშენებლებმა უკვე მრავალი მილიონი მანეთი დაზოგეს აგურის მსხვილი ბლოკების გამოყენებით. ჩვენს რესპუბლიკაში კი აგურის ბლოკების ფართოდ გამოყენებისათვის რუსთავის მშენებელთა გარდა თითქმის არავინ ზრუნავს, მათს გამოცდილებას არავინ ეცნობა. თბილისის არც ერთ აგურის ქარხანას არა აქვს მსხვილი აგურის ბლოკების დამზადების წარმოება. ამის გაკეთება კი მნიშვნელოვნად დააჩქარებდა და გააიაფებდა ბინათმშენებლობას.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა მოძრაობა, როცა დიდი ყურადღება ექცევა მინიმალური კაპიტალდაბანდებით წარმოების სიმძლავრეთა გაზრდას, უნდა უზრუნველყოთ მშენებლობები მსხვილი აგურის ბლოკებით, ყოველი ღონისძიებით უნდა მივაღწიოთ მშენებლობათა ინდუსტრიალიზაციას.

პ. პეტრიაშვილი,
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველის მოადგილე.

140.000 ცხენი ჩამოვიდა!

სურათზე: სოხუმის რაიონის სოფელ ესტონკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ლუბა ბელელაძე, რომელიც დღეში 60-70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. ფოტო ს. კოროტკოვისა.

ასე გადაწყვიტეს...

ზუგდიდიდან მიმავალი შარაგზით შედიხართ სოფელ ჭალინჯში. დიდებულია ამ სოფლის პანორამა, გვგონებათ ხელოვანმა ყალმით დახატა. მნახველის ყურადღებას იპყრობს ლამაზად გადაშლილი ჩაის პლანტაციები, ჩვენი დროის ადამიანების საგმირო საქმეები, მათი მადლიანი შრომით დამშვენებული კარ-მიდამოები...

ჭალინჯის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი კ. შეროზია) ძირითადი შემოსავლის წყარო ჩაის კულტურაა, რომელიც 172 ჰექტარზეა გაშენებული. მეჩაიეები იბრძვიან გეგმის გადამეტებით მოკრეფონ 80 ტონა ჩაის ფოთოლი.

მაის-ივნისის დავალება ჭალინჯელმა მეჩაიეებმა 18 ივნისისათვის 106 პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად 267.000 კილოგრამისა მოკრიფეს 283.000 კილოგრამი ფოთოლი.

გეგმების დროულად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გამოჩენილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეთოთხმეტე ბრიგადა (ბრიგადირი გ. ერემაძე).

ჯერ კიდევ 18 ივნისისათვის მეორე ბრიგადას მაის-ივნისის დავალება შესრულებული ჰქონდა 117 პროცენტით, მეათე ბრიგადას — 122 პროცენტით, მეთორმეტე ბრიგადას — 110 პროცენტით, ხოლო მეთერთმეტე ბრიგადას — 112 პროცენტით.

— წელს სეზონში საშუალოდ ჰექტარზე 4.700 კილოგრამი ფოთოლი! — ასე გადაწყვიტეს ჭალინჯელმა მეჩაიეებმა.

გ. გვაზავა.

ახალგაზრდული ენერგიით

ცაბია ბობოხიძე 70 წლისაა, მაგრამ გული მაინც ახალგაზრდასავით ერჩის. ვინ მოთვლის რამდენ ახალგაზრდას შეასწავლა მან ჩაის კრეფა. ამ ოც წელიწადში მისი გამრჯე ხელებით მოკრეფილი „მწვანე ოქრო“ რომ ერთად დაახვავონ, ვაგონები კი არა, მთელი ეშელონიც არ იკმარებდა გადასაზიდად. და აი, ცაბიას წელსაც შეაქვს თავისი წვლილი მშობლიური კოლმეურნეობის წარმატებებში.

— რაკი მოხუცებმა ჩაის პლანტაციებში მუშაობა ისურვეს, — განაცხადა წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიმტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. ჩიგრინიძემ, — ჩვენ გავითვალისწინეთ ძალი თხოვნა და სეზონში ჩაის კრეფის დავალებად დავუწესეთ 500 კილოგრამი. მაგრამ შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. ბეგრმა მოხუცმა მეჩაიემ უკვე შეასრულა ჩაის კრეფის წლიური დავალება.

ცაბია ბობოხიძემ, ფორენე გედენიძემ 500 კილოგრამის ნაცვლად უკვე მოკრიფეს 750 კილოგრამი ჩაის ფოთოლი თითეულმა. 70 წელს გადაცილებულ კალისტინა კუჭავას დღემდე მოკრეფილი აქვს 700 კილოგრამი, ხოლო ნინო ხაჭაპურიძეს — 500 კილოგრამი ჩაი.

ჩაის ფოთლის კრეფაში ყოველდღიურად მონაწილეობენ მოხუცი კოლმეურნეები ფილიპე კინწურაშვილი და ივანე ბზიკაძე. (საკ. კორ.).

სკოლა და ცხოვრება



პატარეგის დიდი წვლილი

ცხოვრების კარნახით

ლურჯი ხალათები ჩაუცვამთ ყმაწვილებს და თავიც ხილაბანდით წაუკრავთ. საყვარელი სკოლის მიმდინარე რემონტზე მუშაობენ მეცხრეკლასელები. ღებავენ მერხებს, დაფებს, მაგიდებს. მინის ჩამსმელები კარ-ფანჯრებს შესცვლიან.

— შეიქმნა წელია, რაც არ დაგვიბარჯავს რემონტისათვის სახელმწიფოს სახსრები, — ამბობს სკოლის დირექტორი გ. კობახიძე, — საკუთარი ძალებით ვაწარმოებთ შეკეთებას. წელსაც ამ საქმისათვის გაგვაუთვინეს 70.000 მანეთს დავუზოგავთ სახელმწიფოს. აბა შეხედეთ, ამათ გაუჭირდებათ რამე! — ღიმილით ამბობს სკოლის დირექტორი.

ეუფიქრეთ ახალგაზრდების მუშაობას და გრძნობთ, რომ მათ მართლაც არ სჭირდებათ დახმარება.

მოსწავლეთა შორის შრომითი ჩვევების დანერგვის საქმეში თბილისის 77-ე საშუალო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს რესპუბლიკაში. უკვე დიდი ხანია ეს სკოლა თვითმმართველობაზე გადავიდა. სკოლას შტატით 12 დამლაგებელი ჰყავს, ამიერიდან კი 4 მუშაობს. მოსწავლეები თვითონ ასუფთავებენ საკლასო ოთახებს, დერეფნებს, კიბეებს. ყველა საკლასო ოთახში დგას კარადა, რომელშიც ინახება ხალათები, ცოცხი, ჯაგრისი, ვედრო, ტაშტი, ტილო. მორიგე მოსწავლეები ხალისით და მონდომებით ჰგვიან და ასუფთავებენ საკლასო ოთახებსა და დერეფნებს და თვეში 2.400 მანეთ ეკონომიას აძლევენ სახელმწიფოს.

— მომავალი წლიდან, — ამბობს სკოლის დირექტორი გ. კობახიძე, — განზრახული გვაქვს შეეძინოთ აირეცხი მანქანა, უთოები და სკოლაში შეიქმნათ სამრეცხაო. ეუყიან პირსახოცებს სკოლაშივე დარეცხავენ და გაუთოებენ ბავშვები.

ახლა სკოლაში მიმდინარე რემონტია. ქალაქში დაარჩენილი ბავშვები ერთი წუთითაც არ სტოვებენ სკოლას, მოსწავლეებმა უკვე დადგეს ელექტროსაათები, მოაწყეს ავტომატური ზარი, უზრუნველყვეს სკოლა ელექტროგაყვანილობით, რადიოთი, აწარმოებენ სასპორტო მოედნის შეკეთებას, ღებავენ სკამებს. სკოლის სახელოსნოში მომავალი კონსტრუქტორები ამონტაჟებენ მანქანა-დანადგარებს და ყოველივე ამით 15.000 მანეთ ეკონომიას აძლევენ სახელმწიფოს; თუ ამას დაუმატებთ, რომ სკოლას უკვე შეეძინა წელია რემონტისათვის სახელმწიფო სახსრები არ დაუხარჯავს, გამოდის, რომ მოსწავლეებმა 120.000 მანეთის ეკონომია გასწიეს.

77-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს თავისი წვლილი შეაქვთ შვიდწლედის ფონდში.

ხმაურობენ დაზგები

გარდა იმისა, რომ მოსწავლეები სკოლის იმენტარის შეკეთებაზე მუშაობენ, მათ სხვა საქმეებიც აქვთ. საწარმოებისაგან შეკვეთებს ღებულებენ, ეს მათთვის ახალი ამბავი როდია. სკოლის დირექციამ სწავლების შრომასთან შეერთების მიზნით მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ბევრ საწარმოსთან. მათ შორის ცხომა-კომბინატთან, № 1 მექანიკურ ქარხანასთან.

სასკოლო სახელოსნოში მოსწავლეები ცხომაკომბინატს უმზადებენ მარგარინის შესანახ ყუთებს, თითოს 45 კაპიკად, ხოლო მექანიკურ ქარხანას — კარის სახელურის ღერძებს, თითოს 65 კაპიკად, მოსწავლეთა ნამუშევრებმა უკვე 4.000 მანეთი შეადგინა. გარდა ამისა, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადამ თბილისის 26 კომისრის რაიონის გამგეობის კანტორას ჩითილებისათვის დაუმზადა 5.000 ყუთი, რაშიც რამდენიმე ათასი მანეთი მიიღო. მთელი ეს თანხა სასკოლო ყუთაბაში მოგროვდა და ბანკში გაიხსნა ცალკე ანგარიში. მოსწავლეთა სურვილით ეს თანხები სკოლის კეთილშობილობას ხმარდება.

...ხმაურობენ დაზგები. სკოლის ინვენტარის დამზადებასა და საწარმოს შეკეთებაზე მუშაობენ სწავლის ფრაგდოსნები ო. მელაშვილი, ძმები რ. და ი. გალუსტოვები, ო. ბედიაშვილი, ე. ხიდაშელი, ვ. ჯავახოვი და სხვები.

ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში კიდევ ერთი სახელოსნო მოეწყობა. სკოლის დირექციას განზრახული აქვს გოგონებისათვის მოაწყოს საქსოვი საამქრო.

ამჟამად მომდინარეობს დანადგარების შეძენა. მომავალი სასწავლო წლიდან გოგონებს შრომის გაკვეთილებზე ყველა პირობა ექნებათ იმისათვის, რომ სკოლაშივე შეიძინონ შრომის ჩვევები.

მათი მეგობრები

მათ ძალიან ბევრი მეგობრები ჰყავთ. მეგობრათა ბარათები მოდის ჩინეთიდან, ინდოეთიდან, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებიდან, ჩვენი სამშობლოს მრავალი ქალაქიდან.

ახლო მეგობრობა აკავშირებს 77-ე სკოლის მოსწავლეებს ბერძენ რაიონის სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან. მეგობრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, უზიარებენ აზრებს, გამოცდილებას. სულ ახლახან თბილისელებმა ვეჯინელებს ფიზიკის კაბინეტისათვის 15.000 მანეთის ხელსაწყოები აჩუქეს, სამაგიეროდ ვეჯინელებმა მრავალი ჯიშის ვაზი ჩამოუტანეს მათ და სკოლის საკედელ ნაკვეთზე ახარეს.

უყვართ სოფლის მეურნეობა ნორჩ ნატურალისტებს. სათოფად მოვლილ ბოსტანში უკვე შემოვიდა კიტრი, პამიდორი, თავს იწონებს ტანაყრილი სიმინდი და სხვ. ნორჩი ზოოლოგები კი თავს დასტრიალებენ კურდღლებს, სათუთად მოვლილი 250 მტრედი ღუღუნებს სკოლის ეზოში.

მოსწავლეებმა, რომლებიც ქალაქიდან არ გადიან, სურვილი გამოთქვეს ვეჯინელ კოლმეურნეებს დაეხმარონ მოსავლის აღებაში. ამას ისინი აუცილებლად გააკეთებენ. ეს სამუშაოც ხომ ცხოვრების ერთი გაკვეთილი იქნება მათთვის.

მ. ინასარიძე.



ავტომატები შახტებში

ტყიბული. (საკ. კორ.). ავტომატიკა ჩვეულებრივ საქმედ გადაიქცა ქვანახშირის მრეწველობაში. სტალინის სახელობის შახტში უკვე იყენებენ ცენტრალური განაყვების ვენტილატორის ავტომატურ და დისტანციურ მართვაზე გადამყვან უნივერსალურ აპარატურას, რომელიც დიდ ეკონომიურ შედეგს იძლევა. იგი ათჯერ და უფრო მეტად ამცირებს ვენტილატორის ამოქმედების დროს. საჭირო შემთხვევაში სწრაფად გადაჰყავს აგრეგატები რევერსიულ მოქმედებაზე. ამას ტექნიკური უსაშიშრობის დაცვის თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, უნივერსალური აპარატურა აწესრიგებს და აკონტროლებს ვენტილატორის მუშაობის რეჟიმს. ელექტრომოტორისა და ვენტილატორის საკისრების გადახურების შემთხვევაში აპარატი იძლევა როგორც სინათლის, ისე ბგერითს სიგნალს. სპეციალური ხელსაწყოები ზუსტად უჩვენებენ საშახტო გამონამუშევრებში ჰაერის ნორმალურ ან არანორმალურ მსვლელობას, მის ხარჯვას და წნევას.

საშახტო ჭამწევი თანამედროვე შახტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამთო გამონამუშევარია. ჭამწევში მოძრაობს რკინის გალია, რომელსაც ღრმა პორიზონტებზე ჩაჰყავს და ამოჰყავს ადამიანები ან გადაჰქონს სხვადასხვა ტვირთი. ჭამწევში რკინის გალიის ნორმალური მოძრაობის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს დამცავი კარების რეგულარულ მოძრაობას. კარების მოძრაობის რეჟიმს, როგორც წესი, სპეციალურად ამ საქმისთვის განკუთვნილი მუშა განაგებს. მექანიზატორმა სამოთელმა ლ. სოფრომაძემ შექმნა სპეციალური ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად აღებს და ხურავს ჭამწევის კარებს. ეს სიახლე უკვე დანერგა ორჯონიკიძის სახელობის შახტში.

შვიდწლიანი გეგმის მიხედვით ტყიბულის შახტებში ბევრი ახალი ტექნიკა ინერგება. ამას წინათ აქ მიიღეს საშახტო რკინიგზის ისრის გადამყვანი ოთხი ავტომატი. ეს ავტომატები უკვე დაამონტაჟეს სტალინის სახელობის შახტში. ახალმა ტექნიკამ სამუშაოდან გაათავისუფლა მეისრეები, დააჩქარა ვაგონების ბრუნვა, გაუმჯობესა მეშახტეთა შრომის პირობები.

წელს გათვალისწინებულია ტყიბულის სამადოს შახტების წყალსაცავი მეურნეობის ავტომატიზაცია. ამ ღონისძიების განხორციელება სახელმწიფოს დიდძალ თანხებს დაუზოგავს.

სირცხვილი არ აწითლებთ

ვამოწმებთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 2 შახტმა (უფროსი ს. ანისონიანი) გასულ წელს 13 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი მისცა სამშობლოს, გადაჭარბებით შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმები.

წელს თვითკმაყოფილებას მიეცნენ და ქვანახშირის ამოღების ტემპი სამარცხვინოდ შეანელეს.

№ 2 შახტის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის ზევით ამოიღოს 3.000 ტონა ქვანახშირი, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდოს 3 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გასწიოს 100 ათასი მანეთის ეკონომია.

მაგრამ... დაპირება დაპირებად რჩება. წელს 5 თვეში შახტმა სამშობლოს 5.500 ტონაზე მეტი ენერგეტიკული სათბობი დააკლო. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 16,3 პროცენტით შემცირდა, ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 2 მანეთითა და 97 კაპიკით გაიზარდა.

ასეთი საავალო შედეგები იმითაც არის გამოწვეული, რომ პარტბიურო (მდივანი ს. მაისურაძე) და საშახტო კომიტეტი (თავმჯდომარე ი. ნათენაძე) ზერელე დადგენილებების გამოტანით კმაყოფილდებიან. მეშახტეთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჩაშლილია, სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ ქაღალდზეა „გაშლილი“. წელს საექსპლოატაციო უბნების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა არ შეუმოწმებიათ.

როგორც № 3 საექსპლოატაციო უბნის უფროსმა ბ. მუმლაძემ განაცხადა, უბნის კოლექტივს ვალდებულებათა შესრულებაში ხელს უშლის ის, რომ საკმაო რაოდენობით არა ჰყავთ კვალიფიციური მუშები, მოუგვარებელია ცარიელი ვაგონეტების მიწოდება, მასალის სანგრევში შეტანის ორგანიზაცია.

ანალოგიური მდგომარეობაა № 1 და № 2 საექსპლოატაციო უბნებში. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ვერც ერთი უბანი ვერ ასრულებს სადღეღამისო დავალებებს.

შახტის მუშაობას ისიც აფერხებს, რომ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სამუშაო ადგილის გულდასმით მომზადებას. ხშირია სამუშაო პროცესის შეწყვეტის შემთხვევები, რაც დაკავშირებულია ორგანიზაციულ და ტექნიკურ მიზეზებთან. მაგალითად, ამას წინათ ტექნიკური დაუდევრობის გამო ორ საათს შეწყდა საჰაერო-საბაგირო გზის მუშაობა.

მოიკოჭლებს შრომის დისციპლინა, იზრდება სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. მაგალითად, პირველ კვარტალში უმიზეზოდ გაცდენილია 134 კაცდღე, აპრილში — 35 კაცდღე, მაისში — 34 კაცდღე.

ჯეროვანი ღონისძიებები არ ხორციელდება შრომის პროგრესული მეთოდის—ციკლური გრაფიკით მუშაობის დანერგვისათვის.

ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ ახალციხის შახტმშენებლობის სამმართველო (უფროსი ო. ჩიჩუა) უჩვეულოდ აჭიანურებს ახალ ჰორიზონტზე მისასვლელი ძირითადი სამთო გამონამუშევრების გაყვანას.

შახტის ჩამორჩენისათვის პასუხისმგებელი ადამიანები ნუთუ სირცხვილით არ წითლდებიან?!

ჯ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საკუთარი ხელებით

ქუთაისის სკოლებმა კარგი გამოცდილება შეიძინეს მოსწავლეთა თვითმმსახურების მოწყობისა და ამ გზით მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური შრომაში ჩაბმის მხრივ.

როგორც შარშან, ისე წელს, 1-ლი, მე-2, მე-16, მე-19, მე-20 და 25-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო შენობების და ინვენტარის შეკეთებაში. 25-ე სკოლაში მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობით ააგეს სპორტული დარბაზი. მე-20 სკოლის მოსწავლეებმა შენობის სარდაფიდან გამოზიდეს დიდძალი მიწა, შელესეს და შეღებეს სარდაფის კიბეები, რითაც თავიანთ სკოლას შეამატეს 60 კვადრატული მეტრი ფართობის სასწავლო სახელოსნო, მე-8 სკოლის უფროსკლასელებმა სახელოსნოს მშენებლობაზე შეასრულეს მიწის ყველა სამუშაო, ამასთან თავიანთი ძალებით დაამზადეს 2.500 ცალი სამშენებლო ბლოკი.

ქუთაისის თითქმის ყველა სკოლაში მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ კლასების დალაგებაში, ხეების და ყვავილების დარგვა-გაზრდაში, უკვლიან ცოცხალ კუთხეებს, მორიგეობენ სკოლაში, ასრულებენ სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების რემონტს, თვალყურს ადევნებენ სკოლის ეზოებისა და სასპორტო მოედნების მოვლასა და კეთილმოწყობას.

მოსაწონი ინიციატივა გამოიჩინეს მე-2, მე-3, მე-5, მე-14, 23-ე და რკინიგზის მე-20 სკოლების მოსწავლეებმა, რომლებმაც თავიანთი ძალებით გაამწვანეს სკოლის ეზოები და ამასთან მოსავლელად მიმაგრეს ქალაქის სკვერები და გაზონები.

მოსწავლე ახალგაზრდობა სულ უფრო აქტიურად ებმება შრომაში, მონაწილეობს სკოლის ნაკვეთებზე, ნორჩ ნატურალისტთა სადგურში და დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანის სამუშაოებში. მე-4 სკოლის მოსწავლეები სეზონის დაძაბულ დღეებში საკონსერვო ქარხნის კოლექტივს იხმარებიან ხილ-ბოსტნეულის მოღება-გადამუშავებაში. მე-6 სკოლის მოსწავლეები ზაფხულის პერიოდში მუშაობენ სასადილოების ტრესტის დამხმარე მეურნეობაში. 23-ე სკოლის მოსწავლეებს საკედელ ნაკვეთზე ყოველწლიურად მოჰყავთ ბოსტნეულის უხვი მოსავალი.

წელს ქალაქის მოსწავლეებმა დიდი სამუშაოები შეასრულეს ახლადშექმნილი ნორჩ ნატურალისტთა სადგურის მიწის ნაკვეთებზე. აქ ბოსტნეულ-ბაღჩეული ყოლტურები დათესეს და მოსავლად და დასამუშავებლად მიიმაგრეს მე-3, მე-17, 21-ე და 22-ე სკოლების მოსწავლეებმა. 1-ლი სკოლის მოსწავლეებმა სადგურის ტერიტორიაზე დარგეს ათას ძირზე მეტი დეკორაციული ბალახი. მემინდვრეობის განყოფილებაში 27-ე, 23-ე, და 24-ე სკოლების მოსწავლეებმა დათესეს და დასამუშავებლად მიიმაგრეს სიმინდი, ხორბალი, ქერი, შვრია, ფეტვი, ლობიო და სხვა პარკოსანი კულტურები. სადგურის ხელ-კენტრის განყოფილებაში ასობით ძირი ხეხილი გააშენეს მე-9 და მე-19 სკოლების მოსწავლეებმა.

ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სახავენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააფართოონ თვითმმართველობა და ამ საკითხზე მტკიცედ განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

აი ასე ეჩვევიან მოსწავლეები თვითმმართველობას. სურათზე: თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მანოლის გლეზოს, შენთანაა მოწინავე კაცობრიობა!

სამხედრო სასამართლო ემუქრება გლეზოსის სიცოცხლეს

★ ★

გლეზოსის დასაცავად

მშრომელთა მიმართვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისადმი

რამდენიმე დღეა მოდის: მშრომელთა მიტინგებისა და კოლექტივების დეპეშები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის სახელზე, რომლებშიც მოითხოვენ მანოლის გლეზოსის დაცვას.

წერილში კ. ე. ვოროშილოვისადმი ქალაქ ვიტებსკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა წერენ:

„ახლა, როცა რეაქციის შავბნელმა ძალებმა გადაწყვიტეს მთელი მსოფლიოსაგან ფარულად გაასამართლონ ბერძენი პატრიოტი მანოლის გლეზოსი სამხედრო სასამართლოში, ბრალად სდებენ რა მას ჯაშუშობას თავისი სამშობლოს წინააღმდეგ, ჩვენს ხმას ვუერთებთ მთელი მსოფლიოს ადამიანთა ხმას და მოვითხოვთ მანოლის გლეზოსის განთავისუფლებას. ჩვენ ვიტებსკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, აღვსდგებით გლეზოსის დასაცავად“.

ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლის მანოლის გლეზოსისა და მისი ამხანაგების შეურაცხყოფის წინააღმდეგ მრისხანე პროტესტს გამოთქვამს ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორთა, მასწავლებელთა და მოსამსახურეთა სამიათასიანი კოლექტივი.

უზბეკეთის მხატვრები, ისევე როგორც ყველა პატიოსანი ადამიანი, პროტესტს აცხადებენ საშინელი დასჯის წინააღმდეგ, რომელსაც უმზადებენ ბერძენ პატრიოტს, მსოფლიოში ცნობილ გმირს, დიდი გულის ადამიანსა და მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლს მანოლის გლეზოსს.

მანოლის გლეზოსის დასაცავი დეპეშები გაუგზავნეს კ. ე. ვოროშილოვს უსტ-კამენოგორსკის ქარხნის მანქანათმშენებლებმა, უზბეკეთის სსრ კაშკა-დარიის ოლქის კიტაბის რაიონის ლენინის სახელობის, სვერდლოვის სახელობის, „ყიზილ შარკის“ სასოფლო-სამეურნეო არტელების კოლმეურნეებმა და ბევრმა სხვა ორგანიზაციამ და ცალკეულმა პირებმა. (საკდესი).

ეს სურათი გადაღებულია 1954 წლის 28 ივლისს. საპყრობილიდან გათავისუფლებული მანოლის გლეზოსი ხვდება დედას.

შენ უნდა იცოცხლო, შვილო მანოლის!

მე ვნახე სურათი. მანოლის გლეზოსი, უშიშარი ბერძენი გმირი, 1954 წელს საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ ეხვევა თავის მშობელ დედას...

ნაცნობი სურათია. ასევე მეხვეოდა ჩემი ღვიძლი შვილი, საბჭოთა კავშირის გმირი შოთა გამცემლიძე ფრონტზე გაცილების წინ. სამშობლოს თავისუფლების სიყვარულით, დედის უწმინდესი სიყვარულით ანთებული ვეძაკაცი გრანატების კონით შეუვარდა ფაშისტურ სვასტიკიანტანკს, თვითონ დაიღუპა და ამით იხსნა ათასების სიცოცხლე. და განა შავ სვასტიკას არ ებრძოდა მანოლის გლეზოსიც, რომელმაც ფაშისტური დროშა ჩამოგლიჯა აკროპოლს?

დღეს მის გრუზათმიან თავზე აღიმართა სიკვდილის ცელი, მაგრამ ხალხი ფრინ ეღობებიან ჯალათის მარყუჟს.

შენ უნდა იცოცხლო, შვილო მანოლის!

ნინო გამცემელიძე,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

თავისუფლება გლეზოსს!

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა მრავალმილიონიანი არმიის სახელით მტკიცე პროტესტს გამოთქვამს იმის წინააღმდეგ, რომ სასტიკად დასჯას უპირებენ ბერძენი ხალხის ერთგულ შვილს მანოლის გლეზოსს.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან კომიტეტს მოსდის უამრავი წერილი და დეპეშა, რაც მოწმობს საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა ღრმა გულისწყრომას, მათ აღშფოთებას იმ მდაბალი საშუალებებით, რომელთა დახმარებითაც რეაქციის ძალები ცდილობენ ჩირქი მოსცხონ, სიცოცხლე მოუსპონ მშვიდობის საქმისათვის, თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მედგარ მებრძოლს.

შეთითხნილი ნაყალბევი გლეზოსის წინააღმდეგ შეთქმულებაა საბერძნეთის მთელი დემოკრატიული საზოგადოებრიობის წინააღმდეგ, მათ წინააღმდეგ, ვინც მიდის უცხო კაპიტალის მიერ საბერძნეთის დაკაბალების პოლიტიკის, ატომური ფსიქოზის გაძლიერების, ცივი ომის გაღვივების წინააღმდეგ. ეს არის შეთქმულება მშვიდობის ძალების წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან საბერძნეთის ტერიტორიაზე სიკვდილის ბაზების შექმნის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეები უღრეესად არიან აღშფოთებული გააფთრებული რეაქციის გაუგონარი ბოროტებით, რომელმაც სისხლიანი ხელი აღმართა ბერძენი ეროვნული გმირის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეები ერთსულოვნად და მტკიცედ მოითხოვენ:

დაუყოვნებლივ აღიკვეთოს დანაშაული მშვიდობის საქმისა და საერთო საკაცობრიო პროგრესის წინააღმდეგ!

შეწყდეს იმ ადამიანის უკანონო დევნა, ვისი სახელიც გახდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის სიმბოლო!

თავისუფლება მანოლის გლეზოსს!

მოვითხოვთ!

ბერძენი ხალხის,
ღიალი ხალხის,
სიყრმეს და სინდისს
ახრჩობენ ბნელში,
ჯალათებს ისევ
დანა აქვთ ხელში —
მათ სურთ სინათლეს
გამოსჭრან ყელი,
მათ სურთ მშვიდობას
გამოსჭრან ყელი,
მათ სურთ სიმღერას
გამოსჭრან ყელი...
ისევ და ისევ
მძინვარებს მტერი.
პრომეთეს გულზე
ახვევდნენ ბორკილს,
ისინი სწვავდნენ ჯორდანოს, ისსხვით,
ნიკოსის ღიმილს ხოკავდნენ სისხლით,
სისხლში როკავდნენ სიკვდილის
ღირსნი.
ისინი დგამდნენ
ელექტროსკამებს,
საკოს და ვანცეტს დაღავდნენ დენით,
ახლა მანოლისს უღერენ დასას,
მათ სურთ მანოლისს გამოსჭრან
ყელი...
და ჩვენ ვაწყდებით მოედნებს,
ქუჩებს,
ყველა ხეიანს, ბაღსა და ეზოს,
და ჩვენ მოვითხოვთ —
სიცოცხლე გლეზოსს,
თავისუფლება მანოლის გლეზოსს!

მორის ფოცხიშვილი.

ჰაილე სელასიე I მოგზაურობა საგჰოთა ქვეყანაში

სიმფეროპოლი, 8 ივლისი. (საკდესი). ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე I დღეს ლენინგრადში გაემგზავრა.

იმპერატორთან ერთად სიმფეროპოლიდან გაემგზავრნენ პრინცესა აიდა დესტა და იმპერატორის ამალის სხვა წევრები.

ლენინგრადი, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს ლენინგრადელები განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ ეთიოპიის იმპერატორს ჰაილე სელასიე I, რომელიც ჩამოვიდა აქ თავის ამალასთან ერთად ყირიმის სამხრეთი ნაპირიდან.

ქალაქის პროსპექტებზე საპატიო სტუმრის ჩამოსვლის აღსანიშნავად აღმართული იყო ეთიოპიის, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ალმები.

ეთიოპიის იმპერატორს გულთბადად მივესალმა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. სმირნოვი.

—ჩვენთვის,—განაცხადა საპასუხო სიტყვაში ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიე I,—დიდ კმაყოფილებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დიდ ისტორიულ ცენტრში ყოფნა, სადაც მოხდა უდიდესი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის ამბები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თქვენი ქალაქის გმირული ბრძოლის ცოდნა, რომელმაც დაძლია ყველა სიძნელე და გაიმარჯვა.

ეთიოპიის სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ ლენინგრადის ნახვა შესაძლებლობას მისცემს მას შეეფასოს საბჭოთა ხალხის სიდიადის წყაროები.

როცა იტმანაქანების კოლონა აეროდრომიდან ქალაქში გაემართა, სტუმრებს ყველგან მიესალმებოდა ათეულ ათასობით ადამიანი.

მკითხველთა წერილებიდან

⊙ **კარლოს ზოვის** ტურისტული ბაზა ემსახურება 42 მარშრუტის ტურისტებს, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთიდან მამისონის უღელტეხილით მოდიან აქ. ტურისტები მოდიან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან. მათთვის შექმნილია დასვენების ყველა პირობა. ბაზას აქვს საკუთარი რადიოკვანძი და ბიბლიოთეკა, სტუმრები მართავენ კონცერტებს, ლაშქრობებს.

ს. თოდუაძე.

⊙ **ლიტერატურული წრე** ჩამოყალიბდა ჩხოროწყუს რაიონული გაზეთის „სტალინის დროშით“ რედაქციასთან. წრეში ოცამდე კაცია გაერთიანებული, მათი უმრავლესობა ახალგაზრდებია. წრე ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა. მომზადდა ლიტერატურული გვერდი რაიონული გაზეთისათვის, ხელნაწერი ლიტერატურული ალმანახი.

რ. ძერია.

⊙ **საზაფხულო ბაზრობა** მოეწყო ქალაქ ქუთაისში. აქ ყოველდღე არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა. მშრომელები ხალისით იძენენ დიდძალ სხვადასხვა ასორტიმენტის სამრეწველო საქონელს.

ივ. ბუხაიძე.

⊙ **წყალსადენის მშენებლობა** დაიწყო მანგლისში. მიმდინარეობს ტრასის გაყვანა, რომლის სიგრძე 9 კილომეტრია. 300 მშრომელი მონაწილეობს წყლის გაყვანის სამუშაოებში. მშენებლობა სწრაფი ტემპით გაჩაღდა. სულ მალე მანგლისელები მიიღებენ მთის ანკარა წყაროს.

ჰ. გურგენიძე.

⊙ **კარგი საჩუქარი** მიიღეს ზემო ალვანის მცხოვრებლებმა. გზის პირას ერთსართულიან შენობაში გაიხსნა სასადილო.

ჰ. თალარიშვილი.

ლიტერატურა და ხელოვნება

სიკვდილის ურჩი

ქართველები მშობლის სიყვარულს იმითაც გამოხატავენ, რომ დედის ან მამის უკვდავსაყოფად შვილებს შეარქმევენ ხოლმე მათს სახელს. ხშირია შემთხვევა, როცა შთამომავლობაში მეორდება სახელოვანი პაპის ნიკი და უნარი, კეთილი გული და სამშობლოსადმი სიყვარული.

არბოშიკელმა ზაქარია პატატიშვილმაც ვაჟიშვილს თავისი მამის დავითის სახელი უწოდა. თუმცა მამამისი ერთი უბრალო გლეხკაცი იყო, მაგრამ თავისი ქვეყნის სიყვარული გულში ხატად ჰქონდა ჩასვენებული.

შვილიშვილს პაპის სიკეთე დაჰყვა. უფრო მეტიც, პაპას მხოლოდ წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში იცნობდნენ, შვილიშვილმა კი მთელ საქართველოში გაითქვა სახელი.

დავით პატატიშვილმა სიღნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმში სწავლის დროს დაიწყო ლექსების წერა, რომლებსაც რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეში“ აქვეყნებდა და მაშინვე მიიქცია მკითხველთა ყურადღება.

...და როცა სწავლა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო, იქაც დაინტერესა მკითხველები თავისი მშობლმხატვრული, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულით ანთებული ლექსებით.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, თავისი ცეცხლოვანი ლექსებივით აღგზნებული გული წაიღო ახალგაზრდა პოეტმა დიდი სამამულო ომის ფრონტზე.

1941 წლის ივნისშივე ლეიტენანტმა დავით პატატიშვილმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო მდინარე დნესტრის ნაპირზე. შორეულ მოლდავეთში. საბჭოთა ჯარების დროებით წარუმატებლობის მიუხედავად ახალგაზრდა პოეტს გული არ გასტეხია, მომავალს იმედის თვალით შეჰყურებს.

1944 წელს ლექსში „ღრუბლები“ პოეტი წერს:

წადით, ღრუბლებო, ცივგომბორზე,
დედას უთხარით,
მათზე, ვინც შესწირა
თავი სამშობლოს

რომ ცოცხალი ვარ, ბრძოლას
გადვურჩი,
გზაჯვარედინზე არ შემომხვდა ბედი
მუხთალი
და დავალ ქვეყნად სიკვდილის ურჩი.

მაგრამ უმეხთლა ბედმა, როცა სამშობლოს გულში გამარჯვების სალუტები მიწას ანანარებდა და სულ ახლო იყო საბოლოო გამარჯვება, სწორედ მაშინ დაეცა ბრძოლის ველზე სიცოცხლეს ძოწყურებული გმირი პოეტი.

ნათმარი შვილის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდებოდნენ მშობლები არბოშიკში, მაგრამ შვილს მაგივრად მისი ლექსების სქელტანიანი უბის წიგნაკი მიიღეს, რომელსაც თან გამოჰყოლოდა დენთისა და ბლინდაჟის სუნი, წიგნაკის ყოველი გვერდის გადაფურცვლისას მშობლებს საყვარელი შვილის მხურვალე გულის ფეთქვა ესმოდათ. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, მეზობლები, ნათესავები და მეგობრები ხარბად კითხულობდნენ შინმოუსვლელი პოეტის ფრონტულ ლექსებს.

ავტორს ამ წიგნაკისათვის „გული და ქარიშხალი“ უწოდებია, და სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყოველი ლექსის თვითეული სტრიქონი გულიდან მოდის, რომელსაც ქარიშხალზე უფრო დიდი ძალა აქვს.

მებრძოლი პოეტი, როცა კი დროს იპოვნიდა ფიქრისათვის, სანგარში ლექსს წერდა. ყოველთვის ახსოვდა თავისი „მზით დადაფფული, სილამაზის და ვარდების მხარე“.

დილიდანვე ქარი ჰქროდა,
ნვიმა სცრიდა
და ფიქრები დაჭიმული ფორბივით,
ველებსა და მწვერვალებს
გადასცილდა
საალერსოდ თბილისისკენ
გაფრენილი.
წინ ფრონტია. ქარში დავფაკაცებული
სანგარში ვარ, არ მოვუსმენ
ტყვიის წივილს
და ღრუბელი, ყორანივით დაცემული,
მახურია მამაჩემის ნაბადივით.

ეს სტრიქონები პოეტური შედარების ბრწყინვალე ნიმუშია, რომლითაც ავტორი ხატავს მეტად დამახასიათებელ და რეალისტურ სურათს.

დავით პატატიშვილი თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტიც არის. მან თავისი ფიცი, რომელიც ლექსს გაანდო, საქმით შეასრულა:

ვფიცავ დიდებას, რუსთაველს,
საადს,
ვფიცავ შენს სახელს, შენ,
საქართველოვ,
ვფიცავ — შევხვდები სიკვდილის
საათს
ქედმოუხრელი, როგორც გასტელო.
დავტოვებ მხოლოდ გასისხლულ
ბარათს,
რომ მასზედ დედამ ილოცოს მარად.

სამშობლოსათვის თავდადებული პოეტის გასისხლულ ფრონტულ წიგნაკში, რომელიც მისმა მშობლებმა მიიღეს, მალალმხატვრული ოსტატობით შესრულებული პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსებია. კარგი იქნება, თუ ხალხთა ბედნიერებისათვის თავშეწირული ახალგაზრდის ფრონტული ლექსების წიგნი გამოიცემა და ფართო მკითხველი გაიცნობს ამ ნიჭიერი პოეტის შემოქმედებას.

ვ. გოზალიშვილი.

რატომ არ გვაქვს მცირე ფორმიანი პიესები?

თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივები თვალსაჩინო კულტურულ მომსახურებას უწევენ მშრომელ მოსახლეობას.

ამჟამად საქართველოში ორი ათასამდე საკლუბო დაწესებულებაა და ათასსუთასამდე თეატრალური კოლექტივი მუშაობს. ეს თვითმოქმედი კოლექტივები გაცილებით მეტ მაყურებელს ემსახურებიან, ვიდრე არსებული პროფესიული თეატრები ერთად, ხოლო ზოგიერთი თეატრალური კოლექტივი თავისი მხატვრული მიღწევებით არ ჩამოუვარდება პროფესიულ თეატრს და მხარდამხარ მიჰყვება მას.

თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების მუშაობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება რეპერტუარს, რომლის შესახებაც მწვავედ დაისვა საკითხი საქართველოს თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების რეპერტუართა პირველ კონფერენციაზე. ეს საკითხი კიდევ უფრო მომწიფდა დღევანდელ ეტაპზე, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა და მუშაობს დაიწყო სახალხო თვითმოქმედმა თეატრებმა. სარაიონო კულტურის სახლებთან არსებული თეატრალური კოლექტივები წარმატებით დგამენ როგორც პატარა ფორმის პიესებს (ერთმოქმედებიან პიესებს, სკეტჩებს, მინიატიურებს და ფელეტონებს), ისე დიდი ფორმის პიესებსაც.

სახალხო თეატრების დაარსება ახალ ამოცანებს აყენებს დრამატურგების წინაშე. ახლა ჩვენმა დრამატურგებმა სახალხო თეატრებს უნდა მიაწოდონ ისეთი პიესები, რომლებიც საკმაოდ ✓ გამართული იქნება არა მარტო იდეურ-მხატვრული, არამედ ტექნიკური თვალსაზრისითაც — მისი დადგმა საკმაოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს თეატრალური კოლექტივებისათვის.

მიტად ადვილია მცირეფორმიანი პიესების დადგმა. ეკოტა პერსონაჟები, მარტივი დეკორაციები და მორთულობა აიოლებენ მის განხორციელებას სცენაზე. ამას გარდა მაყურებელს უყვარს მცირე ფორმიანი პიესები. ჩვენი მშრომელი მოსახლეობისათვის საინტერესოა ერთმოქმედებიანი პიესების საღამო. ამით მას საშუალება ეძლევა ერთ საღამოს ნახოს სხვადასხვა თემატიკა დაფერილი სხვადასხვა ჟანრის პიესა: დრამა, კომედია, ვოდევილი ან სკეტჩი.

მცირე ფორმის პიესების შეძენისა და გამოცემის საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში ხელმძღვანელობს ხალხური შემოქმედების სახლი. ეერ ვიტყვით იმას, რომ ხალხური შემოქმედების სახლი ამ საქმეს ცუდად უძღვებოდეს. მაგრამ ჯერ კიდევ საერთოდ დაბალია იმ პიესების მხატვრული და იდეური დონე, რომლებიც ხალხური შემოქმედების სახლის ფონდშია. სამწუხაროდ, ხალხური შემოქმედების სახლთან შორს დგანან მწერლები.

მოოგვარებულია პიესების გამრავლებისა და ადგილებზე დაგზავნის საქმეც. ყველა პიესა როდი აღწევს ყველა თეატრალურ კოლექტივამდე და ხდება ხოლმე ასე: ხალხური შემოქმედების სახლს პიესები აქვს, თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივებს კი არა, მართალია, ბოლო დროს გამოცემული იქნა პიესების რამდენიმე კრებული, რითაც ქარგი საქმე გაკეთდა. მაგრამ, ჯერ ერთი, მისი ტირაჟი მცირეა და, მეორეც, ამას სისტემატური ხასიათი არა აქვს. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ეერც „რემინგტონზე“ გადაბეჭდავ და ეერც „სტენოგრაფის“ საშუალებით გამრავლება პიესების საქმეს ვერ შველის.

ამის საუკეთესო და ნაკლები საშუალებაა დაბეჭდვა, რაც ჩვენში ჯერ კიდევ მოოგვარებელია. რატომღაც ყურნალები და გაზეთები, როგორც წესი, არ ბეჭდავენ მცირეფორმიან პიესებს.

თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივები შესაფერი რეპერტუარით უნდა უზრუნველვყოთ. ეს საკითხი დიდი ხანია მომწიფებულია და საკვანძო დროულია.

ა. დევიძე.



შეხედეთ, ეს დღევანდელი ესტონეთია!

მოძმე რესპუბლიკების შვიდწლედი

საბჭოთა ესტონეთი ახალგაზრდა რესპუბლიკაა სსრ კავშირის ხალხთა ძმურ თანამეგობრობაში. მას ჯერ ცხრამეტი წელიც არ შესრულებია. ეს ძალიან მოკლე ვადაა არა მარტო სახელმწიფოს სიცოცხლეში, არამედ ადამიანის სიცოცხლეშიც. ამასთან განა შეიძლება დავივიწყოთ, რომ სამ წელიწადს ესტონეთი ჰიტლერელ ოკუპანტთა უღელქვეშ იყო, რომლებიც დაუზოგავად ანახავებდნენ ქვეყანას, ძარცვავდნენ მის ხალხს. და მაინც, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, იმ უდიდესი ზარალისა, რაც ფაშისტმა დამპყრობლებმა მიაყენეს, ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვებანი, რომლებზეც ნინათ მშრომელებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ.

საზღვარგარეთ გამოდის მთელი რიგი ემიგრანტული ესტონური უბადრუკი გაზეთები, რომლებიც ყოველნაირად სწამებენ ცილს ესტონეთის მშრომელთა ხელისუფლებას, ხოტაბს ასხამენ ბურჟუაზიული ბატონობის პერიოდს პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის და აშკარად ოცნებობენ ესტონეთში ბურჟუაზიის ძალაუფლების აღდგენაზე. როგორი იყო კაპიტალისტური ესტონეთი, რომლის აღდგენა ასე სწადიათ კონტრეფოლუციური ესტონური ემიგრაციის მეთაურებს? გადავშალოთ 1939 წლის გაზეთების „ვაყვითლებული ფურცლები.

მოგვითხრობენ გაზეთების „ყვითლებული ფურცლები

1939 წელი... ძვირფასი ტანსაცმლით გამოწყობილი ქალები, ფრაკიანი მამაკაცები. ისინი ცეკვავენ, სვამენ „დამოუკიდებლობისა“ და „ეროვნული ერთიანობის“ სადღეგრძელოებს. „პრესის მეჯლისიდან“ დაბრუნებულნი ოდნავი დასვენების შემდეგ იჩქარიან გამოიცვალონ ტანსაცმელი და ნიღბები, რომ თეატრალურ მეჯლისზე წავიდნენ. შემდეგ წასასვლელი. არიან კიდევ „ოქროს გულების“ მეჯლისზე, მხიარულ საღამოებზე ოფიცერთა კაზინოში, რესტორან „ოქროს ლომში“. ღამის რესტორან „ო. კ“-ში სტუმრებს სთავაზობენ „რუსულ ბლინებს“ და, რა თქმა უნდა, კაბარეს ნახევრადშიშველი მოცეკვავე ქალებით. ყოველივე ამის შესახებ შეგეძლოთ წაგეკითხა ყველაზე უფრო სოლიდური ბურჟუაზიული გაზეთის „პიაევალეტხის“ იანვრის ნომრებში.

და იქვე: „ამჟამად სასკოლო შენობების 40 პროცენტი უვარგის მდგომარეობაშია, მაგრამ... შემდეგში გამოყოფილი არ იქნება კრედიტები სასკოლო შენობათა მშენებლობისათვის“. სკოლების მაშინდელი მთავარი ინსპექტორი მ. რაუდი იძულებული იყო ეთქვა ეს თავის მოხსენებაში („პიაევალეტხი“, 1939 წლის 4 იანვარი). იქვე მოყვანილია მასწავლებელ კიარნერის სიტყვები: „ჩვენს სოფლის დაწყებითს სკოლებში მოგვიხდება ცხვირით ვწეროთ, სანამ იქ ფანჯრის მინები ზომით კვლავ ერთი ძტკაველი იქნება“.

13 იანვარს გაზეთმა „პიაევალეხტმა“ დაბეჭდა შენიშვნა: „ტალინში საჭიროა მოეწყოს სამუშაოები უმუშევრებისათვის. განსაკუთრებით ძნიმ მდგომარეობაში არიან მუშა ქალები“. ტექსტიდან ვიგებთ: „ყინვების დადგომის შემდეგ უმუშევართა რიცხვი ტალინის შრომის ბირვაზე განუყვეტლივ იზრდება. რამდენადაც სამშენებლო სამუშაოები შეჩერდა, ხოლო ცუდად ჩაცმული ადამიანები ხე-ტყის ჭრაზე მუშაობას თავს ანებებენ, ყოველდღე რეგისტრაციაში ტარდება ასზე მეტი ახალი უმუშევარი“.

გაზეთებში განცხადებათა განყოფილებები გადატვირთული იყო ხვეწნა-მუდარით დახმარების შესახებ: „იქნება აღმოჩნდეს კეთილი ადამიანი, რომელიც მომცემს რაიმე სამუშაოს, თუნდაც ორი თვით? სავსებით მარტოხელა ქალიშვილი ვარ, კარგად აღზრდილი და შემიძლია ყოველგვარ საქმეს გავართვა თავი“; „ნუთუ არ აღმოჩნდება რაიმე სამუშაო 25 წლის წესიერი ახალგაზრდისათვის?“. მხოლოდ 10 იანვარს და მარტო ერთ გაზეთ „პიაევალეხტში“ მოთავსებულია 88 ასეთი განცხადება.

მშრომელთა სიღატაკისა და გაჭირვების ქრონიკას ავსებს გაზეთ „რახვალეხტში“ 5 იანვარს გამოქვეყნებული სურათი, რომელზეც გამოხატულია ღარიბული ბარგი სახლის კედელთან. სურათის წარწერა გვამცნობს, რომ მდგმურის ბარგი გატანილია ქუჩაში ქალაქის სამზრუნველო განყოფილების განკარგულებით: „ამიტომ ბევრ ადამიანს, ამ ამიტომ ეროვნულ ეკონომიკასა და კულტურის „აყვავებას“ უწოდებენ!

იქნებ ბურჟუაზიულ ესტონეთში მშრომელებს ჰქონდათ ისეთი პოლიტიკური თავისუფლებები, რომლებიც უნაზღაურებდნენ მათ შიმშილსა და არასაკმაო განათლებას? რა თქმა უნდა, არა. ბურჟუაზიულ ესტონეთში ბატონობდა კარლ პიატსის რეაქციული დიქტატურა.

ასეთია იმ „დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის“ პოლიტიკური სახე, რომლის აღდგენაზეც ოცნებობს ესტონური ბურჟუაზიული ემიგრაცია.

დიდი გამარჯვებანი, ფართო პერსპექტივები...

ბურჟუაზიულ ესტონეთში კუნძული პიიუმა ჩამორჩენილ, მიყრუებულ პროვინციად ითვლებოდა. დიდი კუნძულის მთელ მოსახლეობაზე აქ მხოლოდ ოთხი ექიმი იყო. ამჟამად კუნძულს მომსახურებას უწევს ორი თანამედროვე კარგად მოწყობილი საავადმყოფო. წინათ კუნძულის მებადურები აღკურვილი იყვნენ მხოლოდ ნიჩბიანი ნავებით, — ეს ნავები დიდი ხანია შეცვალეს მძლავრმა მოტორიანმა ნავებმა და ტრაულერებმა.

ძლიერ იცვალეს სახე ქალაქ ტალინის საწარმოებმაც. მაგალითისათვის. ავიღოთ ქარხანა „ვოლტა“. ახლა იგი ესტონეთის დიდი საწარმოა, რომელიც ათეულ ათასობით ელექტრომოტორს გზავნის საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქში და საზღვარგარეთ. „ვოლტას“ ელექტროძრავებს, რომლებიც კონსტრუირებულია სპეციალურად ტროპიკულ პირობებში მუშაობისათვის, კარგი სახელი აქვთ მოხვეჭილი ინდოეთში, ინდონეზიაში და ბევრ სხვა ქვეყანაში. ტალინის მექანიკური ქარხანა უშვებს რესპუბლიკისათვის ახალ პროდუქციას — ამწეებს. ამას წინათ ამ ქარხნის საამქროებიდან გამოვიდა პირველი უნივერსალური დამტვირთავი, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ბულდოზერი, გრეიდერი და ექსკავატორი. შეუძლია დატვირთოს მორები და საშენი მასალები ტალინის მანქანათსამშენებლო ქარხანამ დაამზადა ფიქალის კომბაინი, რომელიც პირველია მსოფლიოში. უკვე რამდენიმე წელიწადია უშვებს პროდუქციას ტალინის საექსკავატორო ქარხანა, ქალაქ ტალინის საწარმოები ამზადებენ მოწყობილობას ნავთობდამმუშავებელი და ფიქალგადამმუშავებელი მრეწველობისათვის, ნახევრადგამტარებს, „ესტონეთის“ მარკის სალაკონცერტო როიალებს, რომლებმაც მსოფლიოში გაითქვეს სახელი, ლამაზ ქსოვილებს და ბევრ სხვა საგნებს.

ესტონეთში ყველგან იბადება და იზრდება სიახლე. დაბები კოხტლა-იარვე, იიხვი და ახტმე ომისშემდგომ პერიოდში კეთილმოწყობილი ქალაქები გახდნენ. ალუტაგუსეს ტყეებში გაშენდა მეშახტეთა ახალი ქალაქი ხირგალა. მის ახლოს აღმოჩენილი კარიერები საწვავი ფიქალისა სათბობით მოამარაგებს ბალტიისპირეთის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურს. 1965 წელს ესტონეთის სსრ რესპუბლიკა გამოიმუშავებს სამჯერ და კიდევ უფრო მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე მეფის მთელი რუსეთი იმუშავებდა, და 34-ჯერ მეტს, ვიდრე ბურჟუაზიული ესტონეთი თავისი არსებობის უკანასკნელ წლებში იმუშავებდა.

შეიძლებოდა გველაპარაკა ფიქალ-ქიმიური კომბინატების შესახებ ფიქალის აუზსა და ტალინის ახლოს მდებარე დაბა მაარდუში, რომლებიც ომის შემდეგ აშენდა, რენტგენის აპარატურისა და ულტრასენსიტიური ნათურების ქარხნის შესახებ, რომელიც შენდება, და ბევრი სხვა რამის შესახებ, მაგრამ ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია.

ყველაფერი ეს მოწმობს საბჭოთა ესტონეთის მრეწველობის უმაგალითო აყვავებას. ომამდელ 1940 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ესტონეთში 9,3-ჯერ გაიზარდა. ხოლო მიმდინარე შვიდწლედში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა კიდევ 1,8-ჯერ გაიზრდება. გაგვითარების ასეთი ტემპებზე ვერ იოცნებებენ ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიც კი.

უმუშევრობის — ბურჟუაზიული ესტონეთის მუშათა ამ უბედურების საქმე როგორღა არის? იგი უკვე დიდი ხანია დაავიწყდათ საბჭოთა ესტონეთში. ახლა გაზეთები და სპეციალური ვიტრინები სავსეა განცხადებებით, რომლებშიც ლაპარაკია არა სამუშაოს, არამედ მუშების ძებნაზე.

ბურჟუაზიული ესტონეთის ეკონომისტები, პოლიტიკოსები და „უბირი ბარონები“ (კულაკები) ქედს იხრიდნენ შვეიცის, ჰოლანდიისა და დანიის სოფლის მეურნეობის მიღწევების წინაშე. საბჭოთა ესტონეთის კოლმეურნე გლეხობამ რძისა და ხორცის წარმოების დონით უკვე გაუსწრო შვეიცარიასა და ჰოლანდიას. შორს არ არის ის დრო, როცა ერთ სულ მოსახლეზე რძისა და ხორცის წარმოების მხრივ ესტონეთი დანიასაც გაუსწრებს.

ყოველივე ამის მიღწევა ხდება მრეწველობის სწრაფი განვითარების პირობებში. ესტონელი გლეხისათვის საჭირო აღარ არის ქედს იდრეკდეს „უბირი ბარონის“ წინაშე. იმიტომ რომ მძლავრი მანქანები ამსუბუქებენ სასოფლო-სამეურნეო შრომას. კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდას მოწმობს სატელევიზიო ანტენები ახალი სახლების სახურავებზე, საკუთარი მოტოციკლები და ავტომობილები.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ გაიფურჩქნა ესტონელი ხალხის კულტურა. ამას წინათ ესტონელი მკითხველის მაგიერ „ქან კრისტოფი“, ეგრეთვე ახალი გამოცემა თ. დოსტოევსკის წიგნისა „დანაშაული და სასჯელი“. დიდი ტირაჟებით გამოდის ესტონელი და სხვა მწერლების ნაწარმოებები. წიგნები ჯამოსელიდან რამდენიმე დღეში იყიდება.

ესტონეთის დაწყებითისა და საშუალო სკოლებში ამჟამად 157 ათასი მოსწავლეა, ხოლო 1965 წელს 185 ათასი იქნება. მომდინარე შვიდწლედში რესპუბლიკის უნივერსიტეტიდან და ინსტიტუტებიდან სპეციალისტთა გამოშვება 1,3-ჯერ გაიზრდება.

ეკონომიკისა და კულტურის ზრდას არ შეიძლება გაელეწა არ მოეხდინა ადამიანზე, რომელიც თავისი მიწის ბატონპატრონი, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი გახდა. ასობით ესტონელმა

„ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთის სამტრო არა აქვთ რა“ — ამბობს ამერიკელი მუშა

ყოველი მხრიდან

საბჭოთა მეცნიერები აჩქარებენ კოსმოსური სივრცეში ადამიანის გაფრენას

ქართველ მოცეკვავეებს კვლავ და კვლავ უხმობენ სცენაზე ამერიკელები

„ვიცხოვროთ მშვიდობითა და თანხმობით“

დეტროიტი, 8 ივლისი. (საკდესის კორ.). ფ. რ. კოზლოვი და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრები გუშინ ეცნობოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო მრეწველობის უდიდეს ცენტრ დეტროიტს. საბჭოთა სტუმრები დილით „დეტროიტ ედისონ კომპანის“ პრეზიდენტ უორკერ სისლერის მიწვევით მივიდნენ ამ კომპანიის ელექტროსადგურში, რომელიც მომსახურებას უწევს ფორდის ქარხანას „რივერ რუჟს“. ელექტროსადგურის სექციებში გავლის დროს ფ. რ. კოზლოვი დინტერესდა სადგურის მუშაობით, უამბო ამერიკელ სპეციალისტებს საბჭოთა ენერგეტიკოსების გამოცდილება. იგი მეგობრულად ესაუბრა მუშებს, გამოკითხა, თუ როგორია მათი შრომის პირობები, ხელფასი.

ელექტროსადგურის გამოსასვლელთან ამერიკის პრესის წარმომადგენლებმა სთხოვეს ფ. რ. კოზლოვს ეამბნა საბჭოთა მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა შესახებ. საბჭოთა მეცნიერების წარმატებანი, თქვა ფ. რ. კოზლოვმა, საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენ გავუშვით დედამიწის სამი ხელოვნური თანამგზავრი, კოსმოსური რაკეტა, რომელიც ახლა მზის გარშემო ბრუნავს. როგორც თქვენ იცით, ამას წინათ სსრ კავშირში გავუშვით რაკეტა ცხოველებიანად, რომელიც შემდეგ კარგად დაბრუნდნენ დედამიწაზე. ჩვენ შეუპოვრად განვაგრძობთ კოსმოსური სივრცის კვლევას, გამოვიყენებთ მეცნიერების მიღწევების ხალხის საკეთილდღეოდ.

ფ. რ. კოზლოვი და სხვა საბჭოთა სტუმრები შემდეგ წავიდნენ ფორდის საავტომობილო კომპანიის საგამოფენო პავილიონში. პავილიონის შესასვლელთან სტუმრებს მიეგება ჰენრი ფორდი II. მან ფ. რ. კოზლოვი მიიწვია ავტომობილების ახალი მოდელების დასათვალიერებლად, უამბო, თუ რა მუშაობას იწევენ კომპანიის ინჟინერები. საუბრის დროს ფორდმა ფ. რ. კოზლოვს განუცხადა, ახალი მარკის საბჭოთა ავტომობილები მომეწონოო. ფ. რ. კოზლოვმა შენიშნა, რომ სსრ კავშირში არ დავიწყებიათ, რომ ერთ დროს ურთიერთობა არსებობდა ფორდის კომპანიასა და საბჭოთა ავტომობილმშენებლებს შორის.

პავილიონის დათვალიერების შემდეგ ფ. რ. კოზლოვმა, რომელსაც ახლდა კორესპონდენტთა და ფოტორეპორტიორთა ჯგუფი, დაათვალიერა ფორდის ავტომობილის ასაწყობი ქარხანა „რივერ რუჟის“ საამქროები.

შუადღისას კომპანია „დეტროიტ ედისონის“ პრეზიდენტმა უ. სისლერმა საუზმე გაუმართა საბჭოთა სტუმრებს. საუზმეზე იყვნენ მიჩიგანის შტატის მრეწველები, ფინანსისტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და კორესპონდენტები. საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ და თავისუფალ ვითარებაში ჩაიარა, ფ. რ. კოზლოვმა და უ. სისლერმა მოკლე სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. საბჭოთა სტუმრები დღისით ეწვივნენ კორპორაცია „კრაისლერის“ ქარხანას, რომელშიც უშვებენ რვაცილინდრიან მოტორებს ავტომობილებისათვის. ქარხნის ერთ-ერთ საამქროში ფ. რ. კოზლოვთან მივიდა ხანში შესული მუშა ა. ბესლერი. მან ხელი ჩამოართვა ფ. რ. კოზლოვს და სთხოვა სალამი გადაეცით საბჭოთა მუშებსო. „ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთის სამტრო არა აქვთ რა, — თქვა მან, — ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა ვიცხოვროთ მშვიდობით“.

უფრო გვიან ფ. რ. კოზლოვი და სხვა საბჭოთა სტუმრები ავტომობილებით წავიდნენ „ჯენერალ-მოტორსის“ კომპანიის ტექნიკურ ცენტრში. მათ დაათვალიერეს შენობა და ლაბორატორიები, აგრეთვე ავტომანქანების იქსპერიმენტული მოდელები.

დეტროიტის სამრეწველო საწარმოთა დათვალიერების შემდეგ ფ. რ. კოზლოვი შეხვდა მიჩიგანის შტატის გუბერნატორს ფ. ჯილიამს, შეხვედრა საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

საღამოს სასტუმრო „ფორტ-შელბიში“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და სხვა საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად გაიმართა საზეიმო ბანკეტი, რომელზეც იყო მიჩიგანის შტატის უდიდესი სამრეწველო კორპორაციების, ეკონომიური დაგეგმვებებ-ების, ბანკებისა და სავაჭრო კომპანიების 100-ზე მეტი წარმომადგენელი. მათ შორის — დეტროიტის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ს. დენუილი, „დეტროიტ ედისონ კომპანის“ პრეზიდენტი უ. სისლერი, დეტროიტის ეკონომიური კლუბის პრეზიდენტი ა. კროუ, დეტროიტის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დ. ვილი, მიჩიგანის შტატის უნივერსალური მაღაზიების ქსელის მფლობელი ჯ. ჰადსონი და სხვები.

ბანკეტზე სისლერი მიესალმა ფ. რ. კოზლოვს შეკრებილთა სახელით. მან თქვა, რომ საბჭოთა სტუმრების შეხვედრა შტატის წარმომადგენლებთან ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. დარწმუნებული ვართ, თქვა მან, რომ ყველა დამსწრე იზიარებს ჩემს რწმენას. რომ საჭიროა ამ ურთიერთობის გაუმჯობესება. უ. სისლერმა აღრეთვე თქვა, რომ შარშან აგვისტოში საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ვნახე, თუ რა მშვიდობიანად შრომობენ საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც აღადგინეს დანგრეული საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომის დროს. ჩვენ ყველამ, ხაზი გაუსვა სისლერმა, უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი ომი და შევინარჩუნოთ მშვიდობა.

შემდეგ დეტროიტის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა ს. დენუილმა სიტყვა მისცა ფ. რ. კოზლოვს, რომელსაც დამსწრენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

ჩვენ უკვე გავაფართოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ დროის თითქმის ნახევარი, თქვა ფ. რ. კოზლოვმა, რომელიც განხორციელდა ჩვენს გადატაროთ თქვენს ქვეყანაში. მე და ჩემი თანამგზავრები ვიყავით ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, სან-ფრანცისკოში და დღეს გავიარეთ დეტროიტს. თქვენს ქალაქში წარმოიშვა და განვითარდა ამერიკის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი დარგი საავტომობილო მრეწველობა. უნდა აღვნიშნო, რომ დეტროიტმა თავის დროზე ხელი შეუწყო საბჭოთა საავტომობილო მრეწველობის განვითარებას. თანამშრომლობა, რომელიც ამ დარგში არსებობდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის, ხელსაყრელი იყო ჩვენთვისაც და ვფიქრობ, ამერიკელი ავტომრეწველებისთვისაც. საბჭოთა მთავრობა და ჩვენი ქვეყნის ხალხი ასეთი თანამშრომლობის, ჩვენს ქვეყნებს შორის საქმიანი ურთიერთობისა და ვაჭრობის გაფართოების მომხრენი იყვნენ და არიან.

დღეს დეტროიტს რომ ვეცნობოდით, განაგრძო ფ. რ. კოზლოვმა, ვესაუბრეთ ქალაქისა და მიჩიგანის შტატის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. ინტელიგენციასა და მუშებს. ჩემთან შეხვედრის დროს მუშებმა მთხოვეს გადაეცი საბჭოთა ხალხს საუკეთესო სურვილები. ისინი მე და ჩემს თანამგზავრებს მეგობრულად გვხვდებოდნენ. და არა მარტო მუშები — გულთბილად მიგვიღო ყველამ, ვისაც დღეს აქ შევხვედით, დეტროიტში. ბანკეტზე სისლერმა გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა ჩვენ ორივეს — პროფესიათა ინჟინრებს — დაგვეპროექტებინა ელექტროსადგური, რომელიც იქნებოდა ჩვენი ქვეყნების მეგობრობის სიმბოლო. ჩემი აზრით, ხუმრობით თქვა ფ. რ. კოზლოვმა, ეს ცუდი „კონტრაქტი“ როდი იქნებოდა.

ჩვენ უნდა მოვაგვაროთ თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის, განაგრძო ფ. რ. კოზლოვმა, განვავითაროთ კონტაქტი და ურთიერთობა, მშვიდობიანად შეგვეჯიბრით ერთმანეთის ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ. მართალია, ამერიკაში ბევრია ბერძენი სიმდიდრე და ენერგია, რომელიც საჭიროა მისი ეკონომიკის განვითარებისათვის. ამერიკელები შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხია. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეკონომიური განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს. საბჭოთა კავშირსაც აქვს ყოველივე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ განვითაროს თავისი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, და საბჭოთა ხალხმა შექმნა დიდად განვითარებული ეკონომიკა. ჩვენ ახალ სამრეწველო ცენტრებს ვქმნით ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, ვიყენებთ ამ რაიონების უდიდეს სიმდიდრეს. უკანასკნელ წლებში ავითვისეთ 36 მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწები და ამიტომ ეს უზრუნველყოფილ ჩვენი სოფლის მეურნეობა გვალვის შემთხვევითობისაგან. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, განაგრძო ფ. რ. კოზლოვმა, რომ ჩვენს ქვეყნებს საკმაოდ შეუძლიათ იცხოვრონ მეგობრულად და თანხმობით, მიუხედავად სოციალურ სისტემათა განსხვავებისა.

ფ. რ. კოზლოვმა ილაპარაკა დეტროიტის ერთ-ერთ მეტალურგთან საუბრის შესახებ, რომელმაც უთხრა ფ. რ. კოზლოვს, რომ საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრძოლების მშენებლობაში, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები წინ არიან ლითონის გლინვაში. რა ვუყოთ, ამბობს ფ. რ. კოზლოვი, მოდით შევეჯიბროთ ერთმანეთს ჩვენი ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის, მთელი მსოფლიოს ინტერესებისათვის. ჩვენ საომარი არაფერი გვაქვს.

რა თქმა უნდა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის უთანხმოებაა პოლიტიკურ საკითხებში. მაგრამ ეს უთანხმოება უნდა გადაიჭრას არა იარაღით, არამედ მოლაპარაკების გზით.

დასასრულ ფ. რ. კოზლოვმა წარმოთქვა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიდ ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის სადღეგრძელო.

სადილზე მყოფთა სახელით უ. სისლერმა მადლობა გადაუხადა ფ. რ. კოზლოვს გამოსვლისათვის და იმედი გამოთქვა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მომავალშიც ეწვევა დეტროიტს. დარბაზის ტაშის გრიალში ბ-ნმა უ. სისლერმა ფ. რ. კოზლოვთან გამოთხოვებისას, უსურვა მას მოგზაურობის ბედნიერად განგრძობა.

ვ. ბოგაჩოვი,
ვ. პარაგონოვი.

საბჭოთა სტუმრები დეტროიტში

მართა სადილი, რომელზეც იყო მიჩიგანის შტატის უდიდესი სამრეწველო კორპორაციების, ეკონომიური დაგეგმვებებ-ების, ბანკებისა და სავაჭრო კომპანიების 100-ზე მეტი წარმომადგენელი. მათ შორის — დეტროიტის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ს. დენუილი, „დეტროიტ ედისონ კომპანის“ პრეზიდენტი უ. სისლერი, დეტროიტის ეკონომიური კლუბის პრეზიდენტი ა. კროუ, დეტროიტის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დ. ვილი, მიჩიგანის შტატის უნივერსალური მაღაზიების ქსელის მფლობელი ჯ. ჰადსონი და სხვები.

ბანკეტზე სისლერი მიესალმა ფ. რ. კოზლოვს შეკრებილთა სახელით. მან თქვა, რომ საბჭოთა სტუმრების შეხვედრა შტატის წარმომადგენლებთან ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. დარწმუნებული ვართ, თქვა მან, რომ ყველა დამსწრე იზიარებს ჩემს რწმენას. რომ საჭიროა ამ ურთიერთობის გაუმჯობესება. უ. სისლერმა აგრეთვე თქვა, რომ შარშან აგვისტოში საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ვნახე, თუ რა მშვიდობიანად შრომობენ საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც აღადგინეს დანგრეული საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომის დროს. ჩვენ ყველამ, ხაზი გაუსვა სისლერმა, უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი ომი და შევინარჩუნოთ მშვიდობა.

ფ. რ. კოზლოვი ჩიკაგოს ჩავიდა

ჩიკაგო, 8 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი და სხვა საბჭოთა სტუმრები, რომელნიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობენ, ჩიკაგოს ჩამოვიდნენ.

ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს მისცეს კითხვა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შესაძლებლობის შესახებ. პრეზიდენტმა უპასუხა, რომ თუ მხედველობაშია „ცივრემონიული ვიზიტი“, ეროვნულთა, რაც უნდა მოვიფიქროთ, არის ხასიათი მიღებისა. რომელიც უნდა მოვიწყოთ ნ. ს. ხრუშჩოვს. თუ მხედველობაშია ვიზიტი მოსალაპარაკებლად, ამასთან ბევრი სერიოზული საკითხია დაკავშირებული. ეიზენჰაუერმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოკავშირე ქვეყნების ჯგუფის მონაწილენი არიან, და ერთი მთავრობის ხელმძღვანელს გაუძღვნელია აწარმოოს მოლაპარაკება, რომელიც ეხება კავშირის სხვა მონაწილეებსაც. თუ საქმე ეხება მთავრობათა მეთაურების შეხვედრას, რომელიც უფრო „საერო“ ხასიათის იქნებოდა, ეს სხვა საქმეა.

უპასუხა რა კითხვაზე, ხედავს თუ არა იგი რაიმე ცვლილებას ბერლინის შესახებ შეთანხმების დადებისა და უმაღლეს დონეზე შესაძლო თათბირის პერსპექტივებში, როცა მომავალ კვირაში ქენე